საქართველო

გაბმული 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

რესპუბლიკა

№137 (9817) 2024 წლის 29 ნოემბერი. პარასკევი

ფასი 1 ლარი

ევროპარლამენტის ბინძური რეზოლუცია

„გაყალბებული არჩევნები“ და სანქციები „ოცნების“ ლიდერებს!

ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს გაყალბებულს უწოდებს, არ აღიარებს მის შედეგებს და მოითხოვს „ქართული ოცნების“ ლიდერების სანქცირებას.

26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ევროპარლამენტმა საქართველოს შესახებ პირველი რეზოლუცია მიიღო.

გუშინ მიღებული რეზოლუცია საქართველოს შესახებ ერთობლივად წარადგინა ევროპარლამენტის ხუთმა ძირითადმა ჯგუფმა: ევროპის სახალხო პარტიამ, სოციალ-დემოკრატებმა, მწვანეებმა, ლიბერალებმა და ევროპელმა კონსერვატორებმა. ევროკომისია, რომლის განახლებული შემადგენლობაც გუშინ დამტკიცდა, მხოლოდ ამ ჯგუფების წარმომადგენლებისგან შედგება.

რეზოლუციის ტექსტის თანახმად, საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები „არ შეესაბამებოდა დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებს“.

რეზოლუციის ავტორი ევროპარლამენტარები ყურადღებას ამახვილებენ, რომ არჩევნები მრავალი დარღვევის ფონზე მიმდინარეობდა. მათ შორის, ისინი ახსენებენ ხმის მიცემის ფარულობის დარღვევას, დაშინებას, მოსყიდვას, დამკვირვებელთა შევიწროებას, ამომრჩეველთა პირადობის მოწმობების კონფისკაციას, მათ დამცირებას როგორც საარჩევნო უბნების შიგნით, ასევე მათ გარეთ.

დოკუმენტის თანახმად, ევროპარლამენტი უარს ამბობს არჩევნების აღიარებაზე და მოითხოვს ხელახალ საპარლამენტო არჩევნებს „გაუმჯობესებულ საარჩევნო გარემოში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საარჩევნო ადმინისტრაციის“ ქვეშ.

ევროპარლამენტი კიდევ ერთხელ მოითხოვს ბიძინა ივანიშვილისთვის პირადი სანქციების დაწესებას. ევროკავშირის სანქციების დაწესებას ევროპარლამენტი არ განსაზღვრავს. სანქციების შემოღება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ სრული კონსენსუსით. რადიო თავისუფლების ინფორმაციით, ამას არ ემხრობა მინიმუმ ოთხი სახელმწიფო: უნგრეთი, სლოვაკეთი, იტალია და ბულგარეთი.

ივანიშვილთან ერთად, რეზოლუცია „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერების სანქცირებასაც მოითხოვს. მათ შორის არიან ირაკლი კობახიძე, კახა კალაძე, შალვა პაპუაშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი...

ევროპარლამენტმა დაამტკიცა რეზოლუციის ტექსტში შესწორება, რომელიც სალომე ზურაბიშვილს კონსტიტუციური უფლების გამოყენებისა და მიხეილ სააკაშვილის შეწყალებისკენ მოუწოდა.

საქართველოს სახელით!

ირაკლი კობახიძე:
მივიღეთ გადაწყვეტილება, 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში არ დავაყენოთ ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხი. ასევე, 2028 წლის ბოლომდე უარს ვამბობთ ყოველგვარ საბიუჯეტო გრანტზე ევროკავშირის მხრიდან!

დღეს, 28 ნოემბერს, მივიღეთ გადაწყვეტილება, 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში არ დავაყენოთ ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხი, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში, სადაც მანამდე უმრავლესობის სხდომა გაიმართა.

საქართველო არის ევროპული ქვეყანა, რომლისთვისაც ორგანული და ძვირფასია ტრადიციული ევროპული ღირებულებები. როგორც უძველესი ქრისტიანული ქვეყანა, საქართველო ყოველთვის იყურებოდა ევროპისკენ, როგორც ქრისტიანობის დაცვის მთავარი ბასტიონისკენ. ჩვენ ვართ ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას ქვეყანა, რომლებმაც ევროპული ღირებულებები ქართული სამოქალაქო აზროვნების ლაიტმოტივად აქციეს. ჩვენი პასუხისმგებლობაა საქართველოს ისტორიისა და ჩვენი დიდი წინაპრების წინაშე, საქართველო ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრად ვაქციოთ.

შესაბამისად, ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანაა, საქართველო 2030 წელს გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა, რისთვისაც ძალისხმევას არ დავიშურებთ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, თავისი შინაარსით, ორმხრივია და მხოლოდ ორმხრივი შეიძლება იყოს. ჩვენ ვართ ამაყი და თავმოყვარე ერი დიდი ისტორიით. შესაბამისად, ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, ევროკავშირში ინტეგრაცია განვიხილოთ როგორც მოწყალება, რომელიც ევროკავშირმა ჩვენთვის უნდა გაიღოს. მეტიც, მიგვაჩნია, რომ საქართველოს, თავისი მდიდარი კულტურითა და პოტენციალით, ზუსტად ისევე შეუძლია გაამდიდროს ევროკავშირი, როგორც ევროკავშირს შეუძლია გაამდიდროს საქართველო. ამ ფონზე, ქართველი ხალხისთვის კატეგორიულად მიუღებელია ევროპელი პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების ნაწილის მცდელობა, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები ცალმხრივ მოვლენად წარმოაჩინონ. კიდევ უფრო მიუღებელია შეურაცხყოფების მთელი კასკადი, რომელსაც მთელი ამ წლების განმავლობაში ამ ადამიანებისგან ვისმენთ. ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეებმა ევროპარლამენტი აქციეს საქართველოს წინააღმდეგ შანტაჟის შიშველ იარაღად, რაც ევროკავშირის უდიდესი სირცხვილია.

ევროპარლამენტმა გასული 3 წლის მანძილზე მიიღო სიცრუითა და შეურაცხყოფით სავსე 5 რეზოლუცია, რომლებიც არათუ ქართველმა საზოგადოებამ, ევროკომისიამ და ევროპულმა საბჭომაც კი არ გაიზიარა. სრულიად საქართველო იყო საპარლამენტო არჩევნებში ევროპელი პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების ნაწილის ჩარევის მომსწრე, რაც დემოკრატიული საარჩევნო პრინციპების უხეში დარღვევაა. დღეს კი, იგივე ადამიანები ლეგიტიმურ არჩევნებს თავს ესხმიან. მეტიც, ისინი ზუსტად ისეთივე შემართებით ესხმიან თავს ეუთო/ოდირის არჩევნების შემფასებელ მისიას, რომელმაც არჩევნები კონკურენტულად შეაფასა, როგორც ამას საქართველოში რადიკალური ოპოზიციის ლიდერები აკეთებენ.

იხ. მე-2 გვ.

ვირეშმაკობა

ვირეშმაკებისა და „სნობადების“ პროევროპულობა სიყალბეა...

იდიდე, მშვიდობის ბიუჯეტო,

2025 წელი საქართველოს გაერთიანების და აფხაზ-ოსებთან შერიგების მესაძირკვლე იქნება

3

რუსებმა უკრაინა ჩააბნელეს!

რუსეთის ძალებმა უკრაინის ენერგოინფრასტრუქტურაზე მასირებული იერიში მიიტანეს. BBC-ის ცნობით, უკრაინის მასშტაბით საყოველთაო საჰაერო განგაშია გამოცხადებული.

ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრმა გერმან გალუშჩენკომ განაცხადა, რომ თავდასხმები ენერგეტიკულ ობიექტებზე მთელი უკრაინის მასშტაბით მიმდინარეობს და საჭირო გახდა ელექტროენერგიის საგანგებოდ გამორთვა.

„ენერგეტიკა ისევ მტრის მასირებული შეტევის ქვეშ იმყოფება. ენერგეტიკულ ობიექტებზე თავდასხმები მთელ უკრაინაში ხორციელდება. გადამცემი სისტემის ოპერატორმა „უკრენერგომ“ სასწრაფოდ შემოიღო ელექტროენერგიის საგანგებო გამორთვა. როგორც კი უსაფრთხოების ვითარება საშუალებას მოგვცემს, შედეგები გაირკვევა. მიჰყევით ოფიციალურ შეტყობინებებს და დარჩით თავშესაფრებში“, – წერს ის ფეისბუქზე.

საქართველოს სახელით!

ჩვენ ვაპირებთ არა მათხოვრობით და ცალ ფეხზე დგომით ევროკავშირში შესვლას, არამედ ევროკავშირში ღირსეულად გაწევრებას, გამართული დემოკრატიული სისტემითა და ძლიერი ეკონომიკით. ჩვენ განვაგრძობთ სვლას ევროკავშირისკენ, თუმცა, არავის მივცემთ საშუალებას, დაგვტოვონ მუდმივი შანტაჟისა და მანიპულაციის რეჟიმში, რაც ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის სრულიად შეურაცხმყოფელია.

პირველი გვერდიდან ასევე, ვხედავთ, რომ ევროპელი პოლიტიკოსები და ბიუროკრატები გამოყოფილ გრანტებსა და სესხებს საქართველოს წინააღმდეგ შანტაჟისთვის იყენებენ. ყველას გვახსოვს, როგორ გეგმავდნენ 2021 წლის არჩევნებამდე ორიოდე კვირით ადრე საქართველოსთვის 75 მილიონი ევროს მოცულობის სესხის გაუქმებას, რათა ამით არჩევნებზე არალეგიტიმური გავლენა მოეხდინათ. მსგავსი ნაბიჯი გადაიდგა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინაც, თუმცა, ამან ქართველი ხალხის არჩევანზე ვერავითარი გავლენა ვერ იქონია. ფულის შანტაჟისთვის გამოყენებაც არის შეურაცხმყოფელი პრაქტიკა, რომელიც თავმოყვარე ქართველი ხალხისთვის არასოდეს გახდება მისაღები. ყველას გვახსოვს ისიც, თუ როგორ იქნა გამოყენებული კანდიდატის სტატუსის საკითხი საქართველოს დასაშანტაჟებლად, ქვეყანაში არეულობის შემოსატანად და საზოგადოების გასახლეჩად. უკრაინაში ომის დაწყების ფონზე, იმ დროს, როდესაც საქართველოს ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა სიმშვიდე, ევროპელი პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების ნაწილმა კანდიდატის სტატუსის თემა ქვეყანაში რევოლუციის მოწყობის მცდელობისთვის გამოიყენა. აღნიშნულ რევოლუციის მცდელობაში ღიად იყვნენ ჩართული ორგანიზაციები, რომლებიც ევროკავშირიდან იღებენ დაფინანსებას. თითქმის 2 წლის განმავლობაში, კანდიდატის სტატუსის თემა გამოიყენებოდა საქართველოში რადიკალიზმისა და ე.წ. პოლარიზაციის გაღვივების მთავარ ინსტრუმენტად, რაც საქართველოს მიმართ არაჯანსაღ დამოკიდებულებაზე კიდევ ერთხელ მეტყველებს.

ახლა კი, ვხედავთ, რომ ამ ადამიანებმა კანდიდატის სტატუსი მოლაპარაკებების გახსნით ჩაანაცვლეს. მოლაპარაკებების გახსნა დღეს ზუსტად ისევე გამოიყენება ჩვენი ქვეყნის დაშანტაჟებისა და საზოგადოების გახლეჩის ინსტრუმენტად, როგორც მანამდე კანდიდატის სტატუსი გამოიყენებოდა. ესეც არის სრულიად ხელოვნური მოვლენა, მით უმეტეს, რომ მოლაპარაკებების გახსნის თარიღზე გაწევრების თარიღი საერთოდ არ არის დამოკიდებული. მთავარია არა ის, თუ როდის გავხსნით მოლაპარაკებებს, არამედ ის, თუ როდის დავხურავთ მას. როგორც მოგეხსენებათ, საქართველომ უკრაინასა და მოლდოვაზე გვიან დაიწო მოლაპარაკებები ასოცირების შეთანხმების ხელმოწერასთან, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებასთან და უვიზო რეჟიმის მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა, სამივე შემთხვევაში წარმატებას ამ ქვეყნებზე ადრე ან ამ ქვეყნების თანადროულად მიაღწია. იმასაც შეგახსენებთ, რომ მონტენეგრომ და სერბეთმა, შესაბამისად, 2012 და 2014 წელს გახსნეს მოლაპარაკებები ევროკავშირთან, თუმცა, ამას მათი ევროინტეგრაცია ოდნავადაც არ დაუჩქარებია.

თურქეთს კი, ევროკავშირმა 2005 წელს გახსნილი მოლაპარაკებები 2016 წელს, საერთოდაც, შეუწყვიტა. ტექნიკური თვალსაზრისით, მოლაპარაკებების გახსნიდან ევროკავშირში გაწევრებამდე მხოლოდ წელიწადნახევარი-ორი წელიწადი არის საჭირო, 2030 წლამდე კი, ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება არავის აქვს დაგეგმილი. აქედან ჩანს, თუ რამდენად ხელოვნური და შესაბამისად, უკიდურესად შეურაცხმყოფელია ის შანტაჟი, რომელსაც ევროპელი პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების ნაწილი მოლაპარაკებების გახსნის თემით საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ აწარმოებს. ამასთან, ამ ფონზე, საქართველოს სთხოვენ არა რეფორმებს, არამედ მხოლოდ ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც ღირსებაზე უარის თქმას ნიშნავს. ეს არის „ენჯეოების“ გამჭვირვალობის შესახებ კანონის გაუქმება, ლგბტ-პროპაგანდის წინააღმდეგ კანონის გაუქმება, სანქციების დაწესება და საქართველოს ეკონომიკის ჩვენივე ხელით ჩამოშლა, მიხეილ საკაშვილის განთავისუფლება და სხვ.

ჩვენ მხოლოდ ღირსებით ვივლით წინ ევროკავშირისკენ.

ეს არის ქართველი საზოგადოების, იმ 1 120 000 ამომრჩევლის დაკვეთა, რომელმაც „ქართულ ოცნებას“ და „ქართული ოცნების“ კურსს მყარი ნდობა გამოუცხადა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღეს მივიღეთ გადაწყვეტილება, 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში არ დავაყენოთ ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხი. ასევე, 2028 წლის ბოლომდე უარს ვამბობთ ყოველგვარ საბიუჯეტო გრანტზე ევროკავშირის მხრიდან. 2028 წლის ბოლო არის ის დრო, როდესაც საქართველო იქნება ეკონომიკური თვალსაზრისით სათანადოდ მომზადებული, რათა გახსნას მოლაპარაკებები 2030 წელს ევროკავშირში გასაწევრიანებლად.

ჩვენ არ ვჩერდებით და განვაგრძობთ ასოცირების დღის წესრიგითა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას და როგორც დღეს დამტკიცებულ სამთავრობო პროგრამაშია აღნიშნული, 2028 წლისთვის ამ ვალდებულებების 90 პროცენტზე მეტი გვექნება შესრულებული. ამასთან, ყველა ამ ვალდებულებას შევასრულებთ საკუთარი დაფინანსებით, ევროკავშირის ყოველგვარი ფინანსური დახმარების გარეშე.

ჩვენ ვაპირებთ არა მათხოვრობით და ცალ ფეხზე დგომით ევროკავშირში შესვლას, არამედ ევროკავშირში ღირსეულად გაწევრებას, გამართული დემოკრატიული სისტემითა და ძლიერი ეკონომიკით. ჩვენ განვაგრძობთ სვლას ევროკავშირისკენ, თუმცა, არავის მივცემთ საშუალებას, დაგვტოვონ მუდმივი შანტაჟისა და მანიპულაციის რეჟიმში, რაც ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის სრულიად შეურაცხმყოფელია.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ურთიერთობების გაჯანსაღებაში საქართველოსა და ევროკავშირს შორის. შესაბამის ევროპელ პოლიტიკოსებსა და ბიუროკრატებს, რომლებიც სრულად არიან დაცლილი ევროპული ღირებულებებისგან, ჩვენ მკაფიოდ უნდა დავანახოთ, რომ ისინი საქართველოს არა შანტაჟითა და შეურაცხყოფით, არამედ ღირსეულად უნდა ელაპარაკონ. მოლაპარაკებების გახსნის საკითხის გამოყენება საზოგადოების გახლეჩისა და მანიპულაციის ინსტრუმენტად, ევროკავშირს საქართველოში სერიოზულ რეპუტაციულ ზიანს აყენებს. ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილება ევროკავშირს ამ რეპუტაციულ ზიანს სამომავლოდ აარიდებს თავიდან.

დასასრულს, კიდევ ერთხელ თამამად გვინდა განვაცხადოთ, რომ 2030 წლისთვის საქართველო ყველა კანდიდატ ქვეყანაზე მეტად იქნება მზად ევროკავშირში გასაწევრებლად. საქართველო მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. ეს არის ჩვენი დაპირება ქართველი ხალხის მიმართ, რომელსაც აუცილებლად შევასრულებთ“.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“

უდიპლომო პრეზიდენტმა დიპლომიანებს უნდა აჯობოს!

ბიძინა ივანიშვილი:

29 დეკემბერს შედგება ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია და ამ დღიდან წარსულს ჩაჰბარდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ ქვეყნის ღალატისა და კონსტიტუციის სისტემატური დარღვევის უხეში პრაქტიკა

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა დანიშნა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, არაპირდაპირი წესით გაიმართება. 14 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტს აირჩევს 300 წევრისგან შემდგარი საარჩევნო კოლეგია, რომელშიც მყარ უმრავლესობას, ქართველი ხალხის გადაწყვეტილების საფუძველზე, ჩვენი პოლიტიკური პარტია – „ქართული ოცნება“ ფლობს. აქედან გამომდინარე, იმთავითვე ცხადია, რომ საქართველოს პრეზიდენტის პოსტს „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი დაიკავებს. განაცხადა უმრავლესობის წევრმა ბიძინა ივანიშვილმა.

მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ პარტიის პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე წარმოგიდგენთ მიხეილ ყაველაშვილის კანდიდატურას.

მიხეილ ყაველაშვილს საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. წლების მანძილზე, ის, როგორც წარმატებული სპორტსმენი, იცავდა საქართველოს ღირსებას. მიშა იყო საქართველოს საფეხბურთო ნაკრების სტაჟიანი წევრი. ის არის რამდენიმე ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი. მისი საფეხბურთო კარიერა უკავშირდება თბილისის „დინამოს“, ვლადიკავკაზის „ალანიას“, „მანჩესტერ სიტის“, წამყვან შვეიცარიულ საფეხბურთო კლუბებს.

პოლიტიკური საქმიანობის დაწყებამდეც, მიხეილ ყაველაშვილი ყოველთვის უკომპრომისოდ გამოხატავდა თავის პრინციპულ პოზიციას ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხზე.

უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში, მიხეილ ყაველაშვილი ეწეოდა წარმატებულ პოლიტიკურ საქმიანობას, ის იყო ჩვენი პოლიტიკური გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული წევრი. განსაკუთრებით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მან უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვასა და ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებაში.

✦ ✦ ✦

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გუნდმა მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე მიხეილ ყაველაშვილის წარდგენასთან დაკავშირებით.

დარწმუნებული ვარ, მიხეილ ყაველაშვილი სრულად დაუბრუნებს პრეზიდენტის ინსტიტუტს დროებით წართმეულ ღირსებას. 29 დეკემბერს შედგება ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია და ამ დღიდან წარსულს ჩაბარდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ ქვეყნის ღალატისა და კონსტიტუციის სისტემატური დარღვევის უხეში პრაქტიკა, რომელმაც პრეზიდენტის ინსტიტუტს უდიდესი ზიანი მიაყენა.

ეჭვგარეშეა, რომ მიხეილ ყაველაშვილი იდგება არა უცხოური ძალის, არამედ, ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის სამსახურში და თავის წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და წარმატებაში.

მიხეილ ყაველაშვილს მინდა, ვუსურვო წარმატებული საქმიანობა საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე...

იდიდე, მშვიდობის ბიუჯეტო, იდიდე!

2025 წელი საქართველოს გაერთიანების და აფხაზ-ოსებთან შერიგების მესაძირკვლე იქნება

2024 წლის ბიუჯეტს 900 მილიონი ლარი ემატება! რომელ სამინისტროებს ეზრდებათ დაფინანსება?!

საქართველოს მთავრობა 2024 წლის ბიუჯეტის კორექტირებას გეგმავს – შესაბამისი პროექტი პარლამენტში უკვე წარდგენილია და ის ხარჯების 900 მილიონი ლარით, 25.9 მილიარდ ლარამდე ზრდას ითვალისწინებს. ბიუჯეტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ბიუჯეტის კორექტირება საჭირო გახდა ქვეყანაში არსებული მაღალი ეკონომიკური ზრდიდან გამომდინარე, რადგანაც თავდაპირველად ბიუჯეტი 5.2%-იანი ზრდის მოლოდინით დაიგეგმა, ხოლო ფაქტობრივი ზრდა 9%-ს შეადგენს, რაც ბიუჯეტის საგადასახადო ნაწილის ზრდას განაპირობებს. მთავრობა კორექტირებულ ბიუჯეტში საგადასახადო გეგმას 1.07 მილიარდი ლარით, 20.2 მილიარდ ლარამდე ზრდის.

კონკრეტული სამინისტროების მიხედვით, ყველაზე მეტად, 347 მილიონი ლარით იზრდება ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება, ჯანდაცვის სამინისტროს 240 მილიონი ლარი ემატება, ხოლო განათლების და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტს 37 მილიონი ლარი ემატება. ამასთან, 18.7 მილიონი ლარით მცირდება ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტი.

როგორ იცვლება სამინისტროების დაფინანსება და რა მიმართულებებით იზრდება 2024 წლის ბიუჯეტი:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები იზრდება 240,0 მლნ ლარით და განისაზღვრა 8 069,2 მლნ ლარით.

დამატებითი თანხა გათვალისწინებულია:

35,0 მლნ ლარი მიიმართება პენსიებისა და კომპენსაციების დასაფინანსებლად. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის პერიოდში პენსიის მენეფიციართა რაოდენობა შეადგენდა 835 ათასამდე მენეფიციარს, შესაბამისად ბიუჯეტი გაანგარიშებული იყო დაახლოებით 850 ათას მენეფიციარზე, თუმცა ოქტომბრის მდგომარეობით მენეფიციართა რაოდენობა აჭარბებს 860 ათასს. შესაბამისად, წლის ბოლომდე პენსიების შეუფერხებლად დასაფინანსებლად გამოიყოფა დამატებითი ასიგნებები;

20,0 მლნ ლარი მიიმართება მიზნობრივი სოციალური ჯგუფების დახმარებების დასაფინანსებლად;

195,0 მლნ დამატებით გამოყოფილია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დასაფინანსებლად;

ათვისების პროგნოზის გათვალისწინებით 10,0 მლნ ლარით მცირდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებები.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 37,0 მლნ ლარით და შეადგენს 2 545,0 მლნ ლარს. მათ შორის 65,0 მლნ ლარით იზრდება საჯარო სკოლების დაფინანსება, ხოლო 28,0 მლნ ლარით მცირდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან გამოყოფილი კრედიტების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებები;

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 34,5 მლნ ლარით და განისაზღვრება 506,5 მლნ ლარით. დამატებითი თანხები ძირითადად მიიმართება საერთაშორისო ტურნირებში მიღწეული წარმატებების შესაბამისად სპორტსმენებისათვის ჯილდოების ანაზღაურებით, ასევე სხვადასხვა ეროვნული ნაკრებების საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის ხარჯების დაფინანსებით;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასიგნებები ჯამურად მცირდება 18,7 მლნ ლარით და განისაზღვრება 782,3 მლნ ლარის ოდენობით. ამასთან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში ასიგნებები გაზრდილია 10,8 მლნ ლარით (ამავდროულად ხორციელდება პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება), ხოლო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებები მცირდება 29,5 მლნ ლარით;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებები იზრდება 50,0 მლნ ლარით და განისაზღვრება 738,0 მლნ ლარის ოდენობით. დამატებითი თანხები მიიმართება რთველის პერიოდში გაზრდილი მოსავლის შესაბამისად დამატებითი ხარჯების, ასევე შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში გაზრდილი სესხების შესაბამისი საპროცენტო ხარჯების სუბსიდირებისთვის.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებები იზრდება 347,0 მლნ ლარით და განისაზღვრება 3 747,7 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის დაფინანსება იზრდება 84,0 მლნ ლარით და შეადგენს 2 017,6 მლნ ლარს;

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე დამატებით მიიმართება 10,2 მლნ ლარი და შეადგენს 325,8 მლნ ლარს;

წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის დაფინანსება იზრდება 275,0 მლნ ლარით და შეადგენს 825,0 მლნ ლარს, მათ შორის დამატებით 200,0 მლნ ლარი გათვალისწინებულია 2025 წლის განმავლობაში სხვადასხვა მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის, ხოლო 75,0 მლნ ლარი მიიმართება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან გამოყოფილი კრედიტების მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად;

სხვა დანარჩენი მიმართულებები ჯამურად მცირდება 22,2 მლნ ლარით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებები, წლის ბოლოს პოლიციელთა მატერიალური წახალისების მიზნით იზრდება 20,0 მლნ ლარით და განისაზღვრება 1 280,0 მლნ ლარის ოდენობით;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ასიგნებები იზრდება 210,0 მლნ ლარით და შეადგენს 1 590,0 მლნ ლარს. დამატებითი თანხებიდან:

139,0 მლნ ლარი მიიმართება თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიმართულებით;

ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე გამოიყოფა დამატებით 20,0 მლნ ლარი;

შრომის ანაზღაურების (მ.შ. ჯარისკაცების მატერიალური წახალისების) სრულყოფილად დაფინანსების მიზნით დამატებით გამოიყოფა 35,7 მლნ ლარი;

სხვა მიმდინარე და ლოჯისტიკური ხარჯებისთვის გამოყოფილია 15,3 მლნ ლარი;

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაფინანსება იზრდება 5,0 მლნ ლარით და შეადგენს 215,0 მლნ ლარს;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 9,0 მლნ ლარით და შეადგენს 423,7 მლნ ლარს (სასჯელაღსრულების დაწესებულებების დასაფინანსებლად).

საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსება იზრდება 2,2 მლნ ლარით და განისაზღვრება 189,7 მლნ ლარის ოდენობით.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში:

სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისთვის გამოყოფილი ასიგნებები, არსებული ეკონომიის გათვალისწინებით მცირდება 175,0 მლნ ლარის ოდენობით;

რიგი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებში არსებული დეფიციტების დასაფინანსებლად გამოიყოფა 15,0 მლნ ლარი;

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მოცულობა იზრდება 160,0 მლნ ლარით, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდება როგორც დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები, ასევე სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში მომხდარი სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოები.

დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები მცირდება 31,0 მლნ ლარით, რაც დაკავშირებულია რიგი პროექტების ფარგლებში თანხების ჩამორიცხვის ვადების ცვლილებასთან.

ზოთა ტყეშელაშვილი

სხვა რა გზა გვაქვს, ჩვენს დაუძინებელ „მეგობრებს“ უნდა მივულოცოთ!

ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა ევროკომისიის ახალ შემადგენლობას ურსულა ფონ დერ ლაიენის ხელმძღვანელობით

ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა ევროკომისიის ახალ შემადგენლობას ურსულა ფონ დერ ლაიენის ხელმძღვანელობით.

ევროკომისიის დამტკიცებას ხმა მისცა ევროპარლამენტის 370-მა წევრმა, 282 კი წინააღმდეგი იყო. 36-მა დეპუტატმა თავი შეიკავა.

ევროკომისიის ახალი წევრები უფლებამოსილების შესრულებას პირველი დეკემბრიდან უნდა შეუდგნენ.

ურსულა ფონ დერ ლაიენი ევროკომისიის პრეზიდენტის თანამდებობას მეორე ვადით დაიკავებს.

ისინი, ფორმალურად, ევროპულმა საბჭომ უნდა დანიშნოს ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით.

გაფართოების საკითხებში ევროკომისარი **მარტა კოსი** იქნება, რომელიც ოლივერ ვარჰეის შეცვლის. თავად ვარჰეი კი ჯანდაცვის კომისრის პოსტს დაიკავებს. საგარეო და უსაფრთხოების კომისარი ესტონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი **კაია კალასი** იქნება, რომელიც ამ ადგილზე ჯოზეფ ბორელს შეცვლის. ირლანდიის ფინანსთა ყოფილი მინისტრი **მაიკლ მაკგრატი** იუსტიციის საკითხებში ევროკავშირის მომავალი კომისარი იქნება, ლიეტუველი **ანდრიუს კუბილიუსი** კი ევროკავშირის თავდაცვის კომისარი გახდება.

როცა ნაბადს ყველა თავისკენ ექაჩება

მას შემდეგ, რაც ოპოზიციამ ფიასკო განიცადა როგორც არჩევნებში, ასევე ქუჩის აქციების ჩავარდნილი საპროტესტო მუხტით, ჩიხში შესულებმა ერთმანეთისკენ თითის გაშვერა დაიწყეს. ურთიერთბრალდებები და გამოსავლის ძიებაში დაკარგული ოპოზიცია ახლა დილემის წინაშე დგას, ან ქუჩაში მარტო, ხალხის გარეშე უნდა დარჩეს ან პარლამენტში უნდა შევიდეს, მაგრამ ორივე შემთხვევაში მათი პოლიტიკური გაბანკროტება გარდაუვალია.

ოპოზიციის მიმართ რისხვას და უკმაყოფილებას მათივე ამომრჩეველიც აღარ მალავს. ისინი პირდაპირ მიუთითებენ ოპოზიციის ტყუილზე, რომ საკუთარ მედიებთან ერთად ოპოზიციური ამომრჩევლისთვის ილუზიის შექმნას ცდილობდნენ, თითქოს არჩევნებს იგებდნენ, რამაც „ოცნების“ საშუალება მისცა, საკუთარი ამომრჩევლის მობილიზება და დამატებით, ჩამოუყალიბებელი მოსახლეობაც გადაებირებინა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ოპოზიციას ვერ აუხსნია, რატომ არ გამოვიდა ხალხი თბილისში, სადაც არჩევნებზე ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა.

არჩევნებიდან ზუსტად ერთი თვის და პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან ერთი დღის შემდეგ, ოპოზიციას კონკრეტული სამოქმედო გეგმა ისევ არ აქვს. უცნობია ისიც, როდის გამართავენ ბარიერგადალახული პარტიები კონსულტაციების მორიგ რაუნდს.

პირველი, ვინც უკვე ოპოზიციის ჩავარდნილ სტრატეგიაზე ალაპარაკდა, კოალიცია „ცვლილებისთვის“ თანათავმჯდომარე ნიკა გვარამიაა, რომელმაც აღიარა, რომ ოპოზიციის არასწორმა სტრატეგიამ ხალხის იმედგაცრუება გამოიწვია. წარუმატებლობა აქციაზე და წარუმატებლობა გეგმის ირგვლივ – ეს ის მოცემულობაა, რომელიც ნიკა გვარამიას თქმით, ჩამოუყალიბებელმა და ცვალებადმა პოზიციებმა გამოიწვია. რა უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯი შექმნილ ვითარებაში და ვინ უნდა აიღოს ინიციატივა საკუთარ თავზე? – გვარამიას ერთი პასუხი აქვს:

„აპანყებას, არალეგიტიმური რეჟიმების შეცვლას პოლიტიკოსები არ ახდენენ მეგობრები, პოლიტიკოსები მონაწილეობენ ამაში. ამას აკეთებს ხალხი, პირველ რიგში, მათ შორის საკუთარ თავზე ინიციატივის აღებას, მათ შორის პოლიტიკოსებისთვის, რაღაც შესაძლებლობების მიცემით, მაგრამ უნდა ჩამოვყალიბდეთ. ერთ ნაწილში, როდესაც ჩვენ გვინდა, რომ ვთქვათ, რომ „კოალიცია გვინდა“ და „ბელადი არ გვინდა“ და „ლიდერი არ გვინდა“ და ა.შ. მეორე შემთხვევაში, როცა უკვე სხვა რაღაც განწყობაზე ვართ, ვამბობთ, რომ „ბელადი გვჭირდება“ და ერთი ლიდერი, რომელიც ყველაფერს შეცვლის“, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

ქვეყანაში დაძაბულობის შემოტანის მომხრე არც გახარიას გუნდია. ექსპრემიერის პარტია, ოპოზიციის საერთო გეგმებს ემიჯნება და მოქმედებას მხოლოდ საკუთარი სტრატეგიით განაგრძობს. შიდა პრობლემებზე საუბარს თავს არიდებს ხაზარაძე-ჯაფარიძის კოალიციაც. „ნაციონალურ მოძრაობაში“ კი არ მალავენ, რომ ოპოზიციურ ველზე შეთანხმების მიღწევა, მათ შორის, საპროტესტო გეგმებთან დაკავშირებით, ამ დრომდე ვერ ხერხდება.

ოპოზიციაში შექმნილ კრიზისსა და მოქალაქეების კრიტიკაზე საუბარი მოგვიანებით სოციალურ ქსელშიც გაგრძელდა. პირველი ისევ კოალიცია „ცვლილებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო. ამჯერად ნიკა მელიამ დაწერა, რომ „ოპოზიციაში უთანხმოება წარსულშიც იყო და მომავალშიც იქნება“. მელიას შემდეგ იყო ანა დოლიძე, რომელიც, ასევე, არ მალავს, რომ ბარიერგადალახულ პარტიებს რთული პერიოდი აქვთ.

„არ გაბედოთ და ხალხს არ უსაყვედუროთ, ქუჩაში რატომ არ გამოვიდაო. იცით, რატომ არ გამოვიდა? საკუთარი ამომრჩევლის გონიერებაში და ნიჭიერებაში რომ ეპარებათ ეჭვი იმიტომ“, – განაცხადა „აირჩიე ევროპის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ხათუნა ლაგაზიძემ.

თუ ასე არ ენდობოდნენ ერთმანეთს, საინტერესოა, კოალიციური მთავრობის ფორმირებას რის და ვის ხარჯზე აპირებდნენ?

ხათუნა ლაგაზიძე

ხათუნა ლაგაზიძე ამ ოთხი პარტიის ერთობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ, თუ ასე არ ენდობოდნენ ერთმანეთს, საინტერესოა კოალიციური მთავრობის ფორმირებას რის და ვის ხარჯზე აპირებდნენ?

„სხვა თუ არაფერი, თვლა ხომ ვიცით და ელემენტარულად, დათვალა ამომრჩეველმა, რომ ეს ხალხი კოალიციური მთავრობის ფორმირებისთვის მზად არ ყოფილა, იმიტომ რომ მათი ხმების დასაცავად ვერ დადგა და არ დადგა გარეთ. თუ ასე არ ენდობოდნენ ერთმანეთს, მაშინ ვის აყრიდით თვალებში ნაცარს და რომელი კოალიციური მთავრობის ფორმირებას აპირებდით და რის და ვის ხარჯზე აპირებდით?“, - განაცხადა ლაგაზიძემ.

„ქართულ ოცნებაში“ მიიჩნევენ, რომ ოპონენტებმა გადაბრალების კამპანია საკუთარი შეცდომების გადასაფარად დაიწყეს. სახელისუფლებო გუნდი დარწმუნებულია იმაშიც, რომ ბარიერგადალახული სუბიექტები საერთო სტრატეგიაზეც ვერ შეჯერდებიან, რადგან მათ საკუთარი მომხრეების მხარდაჭერაც დაკარგეს.

✦ ✦ ✦

ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე for.ge-სთან ამბობს, რომ ჯობია, შეცდომების დაშვება ყველამ აღიაროს და კარგად გაიაზრონ, რატომ ვერ გაიმარჯვეს არჩევნებზე და რატომ არ გამოვიდა ხალხი ქუჩაში. ძაბირაძე აცხადებს, რომ სამწუხაროდ, მთელი ერთი წლის განმავლობაში ოპოზიცია, ოპოზიციური მედიები და მათ შორის თავად ანალიტიკოსებიც, ქმნიდნენ იმის ილუზიას, რომ „ქართული ოცნება“ აუცილებლად დამარცხდებოდა ამ არჩევნებში, რაც დიდი შეცდომა აღმოჩნდა.



შეცდომების დაშვება ყველამ აღიაროს და კარგად გაიაზრონ, რატომ ვერ გაიმარჯვეს არჩევნებზე და რატომ არ გამოვიდა ხალხი ქუჩაში.

ვახტანგ ძაბირაძე

„კი ბატონო, გაყალბება შესაძლოა რაღაცა დოზით იყო და ეს ყოველთვის ხდება ყველგან, მაგრამ არც ისეთი კატასტროფული ყოფილა, როგორზეც ოპოზიცია საუბრობს. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ტელევიზიებით, პრესით, სხვადასხვა მედია-საშუალებებით, ლიდერები, ექსპერტები, ვქმნიდით ამ მოლოდინს. ასევე ხდებოდა სოციოლოგიური კვლევების დიდი ალბათობით გაყალბებაც, რაც ოპოზიციურ ამომრჩეველს აძლევდა სრულიად სხვა წარმოდგენას. როდესაც შედეგები დაიდო, ეს კატასტროფული იყო როგორც პოლიტიკური სპექტრისთვის, ასევე მათი ამომრჩევლისთვის. ამის შემდეგ კი კიდევ ერთი ახალი ეტაპი დაიწყო, რომ ვითომ ოპოზიციას შეეძლო გაყალბებული არჩევნების გაპროტესტება, დამტკიცება და დადებდნენ გეგმას, რომელიც მათ გამარჯვებამდე მიიყვანდა. უკვე მეორედ შეუქმნეს მოსახლეობას ილუზია, რომ აი, იბრძვიან ამ გაყალბებული არჩევნებისთვის. აღმოჩნდა, რომ აქაც 25 ნოემბრისთვის საპროტესტო მუხტის ორგანიზება ვერ მოხერხდა, რაზეც იყო მოლოდინი, რომ მძლავრი იქნებოდა, რაღაცა ამ საპროტესტო განწყობის პიკი გახდებოდა და მეტ-ნაკლებად, „ოცნებას“ ამ დღეს დისკომფორტი შეექმნებოდა. არ ვგულისხმობ პარლამენტში შევარდნას და ა.შ. ამისთვის ხალხი არც მზადაა და არც სურვილი არა აქვს არავის. ამან, ბუნებრივია, გარკვეული ნიჰილიზმი და გულგატეხილობა გამოიწვია იგივე ოპოზიციურ ამომრჩეველში. ამიტომ დღეს ოპოზიციას მართებს უფრო მეტი იფიქროს და გადაწყვეტილებები ისე მიიღოს. ძალიან ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ თუ გეგმავ 25-ში დიდი აქციის ჩატარებას, საკოორდინაციო ცენტრი ორგანიზაციული ხომ მაინც უნდა შეექმნა?! ამ 4 სუბიექტს ეს ხომ მაინც უნდა გაეკეთებინა?!“, – ამბობს ძაბირაძე.

მისივე თქმით, გამოდის, ამ 4 სუბიექტიდან ნაბადს ყველა თავისკენ ექაჩება. ანალიტიკოსი ამბობს, რომ ოპოზიცია საუბრობს, ზოგადად, სტრატეგიულ ერთიანობაზე, მაგრამ ტაქტიკური ერთიანობა ამ ჯგუფებს არა აქვთ. ეს კი დაბნეულობას და ოპოზიციის მიმართ უნდობლობას იწვევს.

„ამას სჯობია, თუ ვერ აღწევენ შეთანხმებას, ვიღაცამ თქვას, რომ მე თსუ-სთან მივდივარ და მე ვარ ამ აქციის ორგანიზატორი. თითქოს ყველა პოლიტიკური ძალა იყო იქ, მაგრამ რეალურად აღმოჩნდა, რომ „ნაციონალები“ და „ახლები“ იყვნენ ამ აქციის ორგანიზატორები. მაშინ მათ უნდა აიღონ პასუხისმგებლობა. ოპოზიციურ ძალებში უნდა გამოიკვეთოს, ვინ რისი ორგანიზატორია და ვისი აქციებია. ხელისუფლებამ მოახერხა და შეძლო მაინც, რომ ეს არჩევნები ორ ბანაკად წარმოეჩინა. ყველა თემაში, პიარის თვალსაზრისით, „ოცნებამ“ მოუგო. მას აქვს ფული, აქვს გავლენა და ჰყავს ისეთი ხალხი დაქირავებული, ვინც მათ ყველა მიმართულებით რჩევებს აძლევს.

იმუშავა ომის თემამ, ევროპიდან წამოსულმა მუდმივმა დამუნათებამაც, პირიქით, „ოცნების“ სასარგებლოდ იმუშავა, მით უმეტეს, როცა რეზოლუციებში სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნას წერდნენ. ოპოზიციის მხრიდან იმედების დამყარება ამ რეზოლუციებზე იყო სრული პოლიტიკური შეცდომა. მარტივი ლოგიკაა, რეზოლუციებით სააკაშვილის გათავისუფლება რომ ყოფილიყო შესაძლებელი, აქამდე გაათავისუფლებდნენ. ისევ ახალ რეზოლუციაშიც იგივე საუბარი მიდის, ეს კი მოსახლეობაში ანტიოპოზიციურ განწყობაზე მუშაობს“, – ამბობს ძაბირაძე.

მისივე თქმით, შუაშისტური ძალა ვერ შეიქმნა ისეთი, რომელიც დომინანტური იქნებოდა. ამიტომ ოპოზიციას, როცა სამი ტელევიზია აქვს, ხომ უნდა შეეძლოს და ეს მედიები ამუშაოს ისე, რომ შექნას არა პარტიული, არამედ ოპოზიციური განწყობა. ანალიტიკოსის აზრით, ოპოზიციას ეგონა, რომ ის აქციები, რომელიც გაზაფხულზე იმართებოდა, არჩევნებზე მათ ყულაბაში მოხვდებოდა, აქაც შეცდნენ და „ოცნებამ“ ამითაც აჯობა, პირიქით, ოპოზიციას ეს რესურსიც გააფლანგვინა.

მოამზადა

ლიკა ბერიკაშვილმა

გახარიამ იცის, პოლიტიკურ ხარაკირს მიიღებს, თუ პარლამენტში არ შევა!

სამმა ოპოზიციურმა პარტიამ, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში 5%-იანი ბარიერი გადალახა, საკანონმდებლო ორგანოში შესვლას არ აპირებს, მეტიც, ოპოზიციური პარტიების განცხადების საფუძველზე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაცია გაუუქმა „კოალიცია ცვლილებისთვის – გვარამია, მელია, გირჩი, დროას“, „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის“ და „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ პარტიული სიით წარდგენილ დარჩენილ კანდიდატებს. როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებაშია აღნიშნული, გადაწყვეტილება ცესკომ აღნიშნული პარტიების მომართვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისად მიიღო.

იხ. მე-11 გვ.

პრემიერის და მისი ტოპტვინების მთავრობის ამბიციური პროგრამა შესრულდება!

„ჩვენ გვაქვს ძალიან ამბიციური გეგმა, ამბიციური პროგრამა, რომელიც დღეს წარვუდგინე კიდევ ერთხელ საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებას. ჩვენ ოთხი წლის შემდეგ საზოგადოების წინაშე წარვდგებით ჩვენი ანგარიშით და ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ ამ პროგრამის თითოეული პუნქტი პირნათლად შევასრულოთ. ამ პროგრამაში ასახულია ძალიან ამბიციური მიზნები, თუმცა ეს მიზნები ამასთან ერთად არის აბსოლუტურად შესრულებადი და ჩვენ ვართ პასუხისმგებელი, რომ ოთხი წლის თავზე პირნათლად წარვდგებით საზოგადოების წინაშე“.

ჩვენ გვყავს ნამდვილი ტოპტვინები სამთავრობო გუნდში, მათი ინტელექტუალური შესაძლებლობები, გამოცდილება და განათლება არის გარანტი, რომ გაგრძელდება ქვეყნის განვითარება.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც საზოგადოება ენდო მმართველ გუნდს, არის ის დიდი გუნდი, რომელსაც განასახიერებს „ქართული ოცნება“.

„ეს შედგება როგორც სამთავრობო, ისე საპარლამენტო გუნდისგან და მთელი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან. ბუნებრივია, სამთავრობო გუნდის როგორც ინტელექტუალური შესაძლებლობები, ასევე მათი გამოცდილება და განათლება არის იმის გარანტი, რომ გაგრძელდება ჩვენი ქვეყნის წინსვლა და განვითარება“.

ირაკლი კობახიძე გუშინ გამოეხმაურა რამდენიმე თვის წინ ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციას, სადაც მოთხოვნილი იყო რუსეთის მიმართ სანქციების დაწესება.

„ეს ნიშნავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ჩამოშლას. ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ მომავალში ასეთი რამ აღარ განმეორდება, რომ ევროკავშირის ბიუროკრატების, პოლიტიკოსების მიზანია, ქვეყანა განვითარდეს ეკონომიკურად, ჰქონდეს მუდმივი წინსვლა კეთილდღეობის თვალსაზრისით, ქვეყანას ჰქონდეს მშვიდობა და ქვეყანამ ღირსებით იაროს ევროკავშირისკენ. ეს არის ჩვენი მთავარი პრიორიტეტი. რა თქმა უნდა, ჩვენც გვაქვს დასამტკიცებელი ევროკავშირთან, რომ პირნათლად ვმოქმედებთ და ანალოგიურად, ევროკავშირსაც აქვს დასამტკიცებელი ჩვენთან, რომ სათანადოდ სცემს პატივს მშვიდობას, ღირსებას და კეთილდღეობას ჩვენი ქვეყნისთვის“.

✦ ✦ ✦

„2012 წლისთვის ქვეყანაში ფუნქციონირებდა მხოლოდ 12 იუსტიციის სახლი და ამით იწონებდა თავს მაშინდელი ხელისუფლება. ჩვენი პროგრამის თანახმად, დღეს უკვე 100-ზე მეტი იუსტიციის სახლი ფუნქციონირებს და მომდევნო წლის ბოლომდე ყველა მუნიციპალური ცენტრი იქნება დაფარული და მუნიციპალური ცენტრების მიღმაც ათეულობით იუსტიციის სახლი იფუნქციონირებს“,.

„მთელი ქვეყნის მასშტაბით მილიონ ნახევარი მიწის ნაკვეთი აიზომა და მილიონ ადამიანს, ჩვენს მოქალაქეს ამ სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში, უკვე დაურეგისტრირდა მიწის ნაკვეთები, ეს პროგრამა გაგრძელდება მომდევნო წელსაც, ამისათვის უკვე ასახულია მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში შესაბამისი თანხა. დამატებით დარჩენილ ნახევარ მილიონ მოქალაქესაც დაურეგისტრირდება უკვე აზომილი მიწის ნაკვეთები. ამით დასრულდება მიწის სისტემური რეგისტრაციის პროგრამა“.

გაზიფიკაციის ტემპი 2012 წლის შემდეგ 3-ჯერ გაიზარდა ჩვენს ქვეყანაში, შედეგად მივიღეთ, რომ პოტენციური აბონენტების 90 პროცენტზე მეტი არის უკვე გაზიფიცირებული.

„გარემოს დაცვაზე ზრუნვა არის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. ხედავთ, რომ გლობალური კლიმატის ცვლილებები იწვევს სერიოზულ პრობლემებს, მათ შორის, ჩვენს ქვეყანაში. გვქონდა მძიმე სტიქიები, მათ შორის წელს და ამ კუთხით სერიოზული ზრუნვა არის საჭირო, მათ შორის, პრევენციის თვალსაზრისით. 2028 წლისთვის საქართველოს ექნება თანამედროვე აღრეული გაფრთხილების სისტემები, დაცულ ტერიტორიებს დაემატება, დაახლოებით, 100 000 ჰა ფართობი, აღდგება და გაშენდება 15 000 ჰა ტყე. ეს არის მხოლოდ არასრული ჩამონათვალი, დროის სიმცირიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ყველა საკითხზე ვერ გავამახვილებ ყურადღებას. ქალაქებში ჰაერის დაბინძურება ასევე არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა. თბილისში, გასული წლების განმავლობაში, უკვე 25 %-ით შემცირდა ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი. ქალაქ რუსთავში ეს მაჩვენებელი შემცირდა 35 %-ით და მომავალშიც გაგრძელდება ზრუნვა ამ მიმართულებით. “

„რაც შეეხება დამატებით რეგიონულ განვითარებას, სოფლების გაზიფიცირება – იცით, რამხელა პროგრესი გვქონდა ჩვენ ამ მიმართულებით გასული წლების განმავლობაში. გაზიფიკაციის ტემპი გაიზარდა 2012 წლის შემდეგ 3-ჯერ ჩვენს ქვეყანაში, შედეგად მივიღეთ, რომ 90%-ზე მეტი პოტენციური აბონენტები არის უკვე გაზიფიცირებული. სოფლების გაზიფიცირება გაგრძელდება, უკვე მომავალ წელს 93%-ს მიაღწევს გაზიფიკაციის მაჩვენებელი და 2028 წლისთვის გაზიფიკაციის მაჩვენებელი იქნება 95%. პრაქტიკულად, ჩვენ მივწვდებით უკვე ყველა იმ სოფელს, სადაც რეალურია გაზიფიკაციის ამუშავების წარმართვა. ინტერნეტიზაციის მიმართულებით გვაქვს სერიოზული გეგმები, 5 000 კილომეტრი ახალი ქსელი უნდა შეიქმნას ჩვენს ქვეყანაში. წყალმომარაგებაზე წვდომა გადააჭარბებს 80%-ს. დასრულდება მომავალ წელს ქალაქების წყალმომარაგების პროგრამა და ამის შემდეგ ეს პროგრამა გაგრძელდება უკვე ურბანულ დასახლებებში. დამატებით 300 000 მოქალაქე მიიღებს 24-საათიან წყალმომარაგებაზე წვდომას შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში“...

„არაღიარების პოლიტიკა იყო ძალიან წარმატებული მთელი ამ წლების განმავლობაში, 2012 წლიდან მოყოლებული, რა თქმა უნდა, ამაზე ზრუნვაც გაგრძელდება და ჩვენ გვექნება პრაგმატული პოლიტიკა, როცა საქმე ეხება საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს. პრაგმატული პოლიტიკა არის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ მშვიდობა და დავიცვათ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები. კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება საქართველოსა და რუსეთს შორის დარჩება, რა თქმა უნდა, ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად. ჩვენ გვაქვს წითელი ხაზები, ეს დაკავშირებულია, ბუნებრივია, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების დეოკუპაციასთან, გვაქვს ჩვენი მისწრაფებები და ეს წითელი ხაზები ბოლომდე იქნება დაცული, ამასთან ერთად შევინარჩუნებთ პრაგმატულ პოლიტიკას!“

„ჩვენს მეზობლებთან მეგობრული ურთიერთობები კიდევ უფრო მეტად განვითარება, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან და სტრატეგიული პროექტების განხორციელება არის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, ამაზე ზრუნვა მომავალშიც გაგრძელდება“!

„რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი არის აშშ-სთან და ევროკავშირთან ურთიერთობების გადატვირთვა. გასული წლების განმავლობაში გვქონდა სერიოზული სირთულეები ამ მიმართულებით, თუმცა ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ უახლოეს მომავალში შესაძლებელი გახდება ურთიერთობების თვისებრივად გადატვირთვა როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით.

ამის შესაძლებლობას მოგვცემს ის ცვლილებები, რომელიც მოხდა, მათ შორის, აშშ-ში. ჩვენ ამის ძალიან დიდი იმედი გვაქვს. გავაკეთებთ ყველაფერს, რომ უზრუნველყოფილი იყოს ურთიერთობების გადატვირთვა.

შალვა პაპუაშვილი:

2030 წელს საქართველო იქნება ყველაზე მომზადებული ქვეყანა ევროკავშირის წევრობისთვის

საქართველოს აქვს გრძელვადიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც, 2030 წელს ევროკავშირის წევრობისთვის ყველაზე მომზადებული ქვეყანა, სწორედ საქართველო იქნება.

„2030 წელი – ეს თარიღი „ქართულმა ოცნებამ“ დიდი ხნით ადრე თქვა, ვიდრე ევროკავშირი ამ თარიღს როგორც გარკვეულ ზღვარს იტყოდა ევროპულ კონტექსტში. 2030 ყველას ახსოვს, როდის ითქვა, ჯერ კიდევ 2011 თუ 2012 წელს.

იმიტომ, რომ საქართველოს ეს გრძელვადიანი გეგმა აქვს, 2030 წელს, საქართველო იქნება ყველაზე მომზადებული ქვეყანა ევროკავშირის წევრობისთვის. რა გადაწყვეტილებას მიიღებს რომელიღაც ეტაპზე ევროკავშირის ესა თუ ის ქვეყანა, ჩვენ ამაზე გავლენა არ გვაქვს. ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიტიური გადაწყვეტილების იმედი როგორ უნდა გვქონდეს, ადამიანი აქ მიტინგებზე დადის. ამას ხომ ჩვენ ვერაფერს ვუშველით საერთო ჯამში. ამიტომ ჩვენი ერთადერთი გამოსავალია, ჩვენ ჩვენი განვითარება გვქონდეს, გავუსწროთ ევროკავშირს ეკონომიკური განვითარების ტემპებით. ჩვენ ვუსწრებთ კანდიდატ ქვეყნებს ამ ტემპებით, ინსტიტუციური განვითარებით ვუსწრებთ. ამას იმიტომ კი არ ვაკეთებთ, რომ ევროკავშირის წევრობა გვინდა, ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ჩვენ განვვითარდეთ და ჩვენ როცა განვვითარდებით ეკონომიკურად და ინსტიტუციურად ვიქნებით 2030 წელს იმ დონეზე, რომელზეც ვიქნებით, შეიძლება იქით შეგვეხვეწოს კიდევ ვიღაცამ რომ შევიდეთ ამა თუ იმ გაერთიანებაში და შევიზღუდოთ ჩვენი თავი, იმიტომ, რომ გაერთიანების წევრობა ნიშნავს შეზღუდვასაც – სუვერენიტეტის ნაწილის დათმობას, ეკონომიკური თავისუფლების დათმობას. თქვენ რა გგონიათ, ევროკავშირის წევრი დღეს რომ გავხდეთ, ჩვენ იცით რამდენი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაუქმება მოგვიწევს? რომელიც დადებული გვაქვს თუნდაც ჩინეთთან და ბევრ ქვეყანასთან, დსთ-ის წევრ ქვეყნებთან. ამ ყველაფრის გაუქმება მოგვიწევს. უვიზო მიმოსვლა, იცით რამდენ ქვეყანასთან მოგვიწევს გაუქმება? ერთ მხარეს რომ დგას ევროკავშირთან ინტეგრაცია, მეორე მხარეს დგას ბევრ ქვეყანასთან დეზინტეგრაცია, მათ შორის, უვიზო რეჟიმების გაუქმება და ა.შ. იმიტომ, რომ ვიქნებით შენგენის სივრცის ნაწილი და საქართველოში შემოსვლა ნიშნავს, რომ შევლენ შენგენის ტერიტორიაზე და ვისთანაც არ აქვს ევროკავშირს უვიზო მიმოსვლა, იმას საქართველოში ვერ შემოვუშვებთ ჩვენ.

აგა შეხედეთ, ღვინის სექტორს რა მოუვა, ჩვენ დღესვე რომ გავწევრიანდეთ; ჩათვალეთ, რომ ღვინის სექტორი ჩამოინგრევა.

ერთი მხრივ, თავად ევროკავშირმა იცის კარგად, როდის არის ქვეყანა მზად გაწევრიანებისთვის და ყველაზე დიდი არაკეთილსინდისიერება არის, ზოგიერთი უცხოელი პოლიტიკოსის თუ დიპლომატის განცხადება, რომ ჩვენი კარი ღიაა და აბა, მობრძანდით. ასეთი დამოკიდებულების განჭვრეტა ქართველ ხალხს შეუძლია, ასეთ კარგაღებულ ნატოსთან ვდგავართ უკვე რამდენი წელია.

ჩვენ უნდა მოვემზადოთ იმისთვის, რომ იმ მომენტში გავხდეთ ევროკავშირის წევრი, როდესაც მოვიგებთ და არა წავაგებთ და ზიანს მივაყენებთ ჩვენს თავს...“

ირაკლი ქარსელაძე: 2025 წლის ბოლოსთვის თითქმის ყველა ქალაქი 24-საათიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი

დღეის მდგომარეობით, ქვეყნის 100-ზე მეტ „მდებარეობაში“ მიმდინარეობს სამმილიარდამდე ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა განხორციელების შემდგომ დამატებით 300 ათასზე მეტ მენეფიციარს გაუუმჯობესდება წყალმომარაგება და ისარგებლებს 24-საათიანი წყალმომარაგებით, – განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ქარსელაძემ პარლამენტში, კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე სამთავრობო პროგრამის წარდგენისას.

როგორც მინისტრობის კანდიდატმა აღნიშნა, სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია წყალმომარაგება-წყალარინების სისტემის გაუმჯობესება და მოსახლეობისთვის უწყვეტი წყალმომარაგება. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. აქტიურად გაგრძელდება მუშაობა, რომელიც უზრუნველყოფს 2025 წლის ბოლოსთვის ყველა ქალაქის 24-საათიან წყალმომარაგებას. ხოლო სოფლების წყალმომარაგების მიზნით, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ეტაპობრივად, ჯამურად, 300,000 მენეფიციარისთვის 24-საათიანი წყალმომარაგება იქნება უზრუნველყოფილი.

„მნიშვნელოვანია ის ძალისხმევა, რაც წყალარინებისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის მიმართულებით ხორციელდება, არსებულ ექვს გამწმენდს, სამსაფეხურიან ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობას, დაემატება 11 ახალი გამწმენდი ნაგებობა. ეს არის უწყვეტი პროცესი, რომელიც მიმართულია მოსახლეობის წყალმომარაგების პროცესის უზრუნველყოფისთვის“, – განაცხადა ირაკლი ქარსელაძემ.

დავით სონღულაშვილი: სოფლის მეურნეობის დარგის მხარდასაჭერად დაგეგმილია 3 მილიარდ ლარამდე ფინანსური რესურსის გამოყოფა

„საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდეგი ეტაპის განვითარება მისი პოტენციალის მიზნობრივ გამოყენებასა და საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრას ეხება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სოფლის ტიპის დასახლებების განვითარება და სოფლის მეურნეობაში ჩართული მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება“, – ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრობის კანდიდატმა დავით სონღულაშვილმა საფინანსო-სამეუჯეტო, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, აგრარულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და მუნიციპალური რესურსების, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც მინისტრობის კანდიდატმა აღნიშნა, მომავალი 4 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობის დარგის მხარდასაჭერად, დაგეგმილია 3 მილიარდ ლარამდე ფინანსური რესურსის გამოყოფა. დავით სონღულაშვილმა იმ მნიშვნელოვან მიმართულებებზე გაამახვილა ყურადღება, რაზეც სამინისტროს განსაკუთრებული აქცენტი ექნება გაკეთებული. ესენია: სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და რეალიზაციის პროცესების გაუმჯობესება; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, სერვისების ხელმისაწვდომობა და ახალი სასოფლო-სამეურნეო პროექტების განვითარება; ფერმერებისა და მეწარმეების ცოდნის ამაღლება და მათთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა; აგროდაზღვევის სისტემის გაუმჯობესება და სამელიორაციო მომსახურების გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებასა და დარგის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას.

მინისტრებმა უკეთ რომ იმუშაონ!

დაგღვევა

ავტობუსზე დაჯახების გამო მძღოლს, შესაძლოა, 70 000 ლარის გადახდა დააკისრონ!

„ავტომფლობელთა მესამე პირის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის“ შესახებ კანონპროექტი მზადაა. დაზღვევის ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი დავით ონოფრიშვილი ფიქრობს, რომ ახალი პარლამენტი კანონპროექტს ნამდვილად განიხილავს. ყველაზე სადავო საკითხი, ალბათ, ტარიფი იქნება. წლიური გადასახადი მძღოლებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

ონოფრიშვილი არ აკონკრეტებს, რას ითვალისწინებს პროექტი, თუმცა ადასტურებს, რომ წლების წინ წარმოდგენილ ვერსიასთან შედარებით ცვლილებები არის.

„ბევრი რამ არის შეცვლილი, მაგრამ დაველოდოთ ჯერ კანონპროექტს, რომელიც საბოლოო ვარიანტით იქნება წარდგენილი. ფუნდამენტური ცვლილებები არ არის, მაგრამ მცირე ცვლილება, რა თქმა უნდა, არის. ყველა ერთად გავიგებთ რა იქნება, როცა კანონპროექტი შევა პარლამენტში“, – განუცხადა დავით ონოფრიშვილმა ჟურნალისტებს.

რაც შეეხება საკითხს, თუ რას მოუტანს ბაზარს და მომხმარებლებს ცვლილებები, ონოფრიშვილი ამბობს, რომ დაზღვევის სავალდებულო ხასიათი ბაზარს გაზრდის და მომხმარებლებისთვის კი მეტ დაცვას უზრუნველყოფს.

„სავალდებულო დაზღვევა ბაზარს ზრდის თავისთავად. მომხმარებელს მოუტანს იმას, რომ ამაზე უკეთესი მიდგომა ჯერ მსოფლიოში არ გამოგონებულა. როდესაც სხვადასხვა შემთხვევის დროს შენ არ ხარ დამნაშავე და ინციდენტში მოხვდები, მანქანა დაიმტვრევა ან სხვადასხვა ზომის დაზიანებას მიიღებს, შენ ამაში თავისთავად არ იხდი თანხას და არც ის იხდის, ვინც დაგაზიანა, თუ გადაცდომა არ იყო მისი მხრიდან. ანუ მთლიანობაში ყველა დაცულია“, – განმარტა ონოფრიშვილმა.

კანონპროექტს აფასებენ სპეციალისტებიც. საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი მევლუდ მელაძე ეთანხმება მოსაზრებას, რომ ავტომფლობელთა მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულო უნდა გახდეს, თუმცა კომპანიების მიერ შემოთავაზებული პაკეტები საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული და ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

„დაზღვევაში ერთი მთავარი ნიუანსია, უნდა მოქმედებდეს რეალურად და არა ისე, როგორც ჩვენს შემთხვევაში: ცოტაა თავისი ნებით დაზღვეული, როცა შემთხვევა დგება, სადაზღვევო კომპანიები ანაზღაურებენ ზარალს და შემდეგ მიდის ძალიან დიდი პრესინგი იმაზე, რომელი მხარე იყო დამნაშავე, რომ ეს თანხა მისგან ამოიღონ, რადგან სადაზღვევო პრემია საკმარისი არ არის. ვფიქრობ, ეს არასწორია და არსებული მოდელები, რომლებიც წლების განმავლობაში დაიხვენა და გაიფილტრა, აქაც უნდა დაინერგოს, რომ ავტომობილს ვერ გართავ დაზღვევის გარეშე, თუ გართავ, მაშინ პოლიცია რომ გაგაჩერებს, დიდი ჯარიმა უნდა იყოს.

სავალდებულო დაზღვევა არ უნდა იყოს ძვირი, უნდა არსებობდეს იაფიანი პაკეტები. შენი დაზღვევის შემთხვევაში გამოწვეულ ავტოსაგზაო შემთხვევას რა ზარალიც მოჰყვება, შენსას არავინ არაფერს გიკეთებს,

აკეთებენ დაზარალებული მძღოლის მანქანას, რადგან შენი პასუხისმგებლობაა“, – განაცხადა მელაძემ.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა სადაზღვევო ინდუსტრიის პრობლემებზეც გაამახვილა ყურადღება და საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაზიანების ფაქტებს შეეხო. მისი თქმით, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ავტობუსი დაზღვეულია, ათობით ათასი ლარის ზარალის ანაზღაურება ავტომობილის მძღოლს უწევს, რაც რიგით მოქალაქეს უმძიმეს ტვირთად აწვება.

„არის შემთხვევები, როდესაც ამ თანამედროვე ავტობუსებს ეჯახებიან. ეს ავტობუსები ძალიან ძვირია, ახალია და მათი აღდგენა კატასტროფულად ძვირი ჯდება. ავტობუსები დაზღვეულია, მაგრამ დაზღვევის იგივე მოდელი მოქმედებს, თუ ვიღაც დაეჯახება ამ ავტობუსს, სადაზღვევო მას აკეთებს, მაგრამ შემდეგ 70-80 ათასის გადახდის ვალდებულება იმ კონკრეტულ მძღოლს ეკიდება, რომელიც შეეჯახა ავტობუსს. მძღოლს, რომელიც მოძრაობს სულ რაღაც 1500-ლარიანი ავტომობილით, ამხელა პასუხისმგებლობას თუ ჩამოკიდებ, ჩათვალე, რომ ის დაღუპულია.

თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს, რომ სავალდებულო დაზღვევა შემოიღოს, რიგი მიზეზების გამო, მაშინ ვფიქრობ, რომ ასეთი საზოგადოებრივი ტრანსპორტი მაინც უნდა იყოს ორმხრივად დაზღვეული, რომ თუ ვიღაცა მას ეჯახება, ვინც ეჯახება, მას მაინც არ დაეკისროს ამხელა ტვირთი“, – განაცხადა მევლუდ მელაძემ.

ფინანსური ბაზრის მკვლევარი **ვახტანგ ხომიზურაშვილი** ფიქრობს, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალი მესამე პირის სავალდებულო დაზღვევაში ტარიფია, რომელიც მძღოლებისთვის შეღავათიანი უნდა იყოს და არა ხელოვნურად გაბერილი.

„ავტომფლობელთა მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის იძულებითი დაზღვევით ბევრი ქვეყანა სარგებლობს. სასურველია, ტარიფი დიფერენცირებული იყოს. ამ ტიპის პროდუქტით სარგებლობა მძღოლებისთვის ხელმისაწვდომი თუ არ იქნა, უკმაყოფილებას გამოიწვევს. საკითხავია, რამდენად სწორად გამოითვლიან. როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში, როცა იძულებითი ავტოდაზღვევის მექანიზმია გამოყენებული, სადაზღვეო პრემია გაბერილია.

მთელი პრობლემა ისაა, რამდენად სწორად მოახდინეს დათვლა.

150-200 ლარი, რაზეც ადრე იყო საუბარი, ძალიან მაღალი გადასახადია. სადაზღვევო პრემია ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობიდან და შესაბამისად მიყენებული ზიანის მოცულობიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს“, – განაცხადა ხომიზურაშვილმა.

„ავტომფლობელთა მესამე პირის პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის“ ამოქმედება საქართველოში უკვე არაერთი წელია იგეგმება. სექტორი კანონის ამოქმედებას 2026 წლისთვის ელოდება.

ბექა დანელია

ვირეშმაკობა

ვირეშმაკებისა და „სნობადების“ პროევროპულობა სიყალბეა, ისეთივე ერთჯერადი, როგორც გედის, კიბოს და ქარიყლაპიას ერთობა.

...წარმოიდგინეთ მდგომარეობა, როცა აქოჩრილ-ატრუებული ვირი ყურებს აბარტყუნებს და მიამიტად იმზირება უსასრულობაში.

სამყაროს ორპოლუსიანობიდან გამომდინარე, ვირეშმაკა, იგივე შებერტყილი ვირი ორგვარი უნდა არსებობდეს – ახალგაზრდა, ან ასაკოვანი, შინაური ან გარეული, მდედრი ან მამრი... ვირეშმაკა შეიძლება იყოს დაბმული, ან აშვებული, სადაც დაბმულს შურს აშვებულისა... არიან ლიდერები და რიგითები, როცა რიგითს შურს ლიდერის, ხოლო გალიდერებისთვის უკადრებელს კადრულობს.

მდედრი, იმავდროულად ლიდერი ვირეშმაკა, გაცილებით კომიკურად გამოიყურება, ვიდრე მამრი. მას, რასაკვირველია, შეუძლია მეტი ინტენსივობით და სიკაპასით „იგალობოს“, ვიდრე მამრმა, სამაგიეროდ „ფიზიკაში“ მოიკოჭლებს. თუმცა ეს გარემოება არ შეუშლის ხელს საჭიროების შემთხვევაში ყველა ვირეშმაკა დაიბაროს, დატუქსოს და დირექტივები ჩამოარიგოს. მართალია, სოციალური არსებები არიან, შებერტყილები, ნახირივით მიეყრებიან ლიდერთან, მორჩილებასაც გამოუცხადებენ, თუმცა გულში ღიღინებენ – ცოტა გვაცადე, დრო მოვა, აქეთ გვეახლები და შეგვეტენებიო!

როგორც ზემოთ ითქვა, შებერტყილი ვირი შეიძლება იყოს შინაური, ან გარეული, ანუ შიდა და გარე. შინაური შინაურულად, პრიმიტიულად ეშმაკობს. გარეული ცდილობს, უფრო კრეატიული გამოჩნდეს, ავტორიტეტობს და მეთოდებიც მრავალფეროვანი აქვს არსენალში. თუ შინაური მარტივად გვაბოლებს კოალიციაზე, ერთობაზე, რომ ეს იქნება ხსნა და გაბრწყინება ამქვეყნიურობისა, გარეული აგრესიულია და შიშის ელემენტებიც შემოაქვს.

მოდი, ჯერ შინაურებზე ვთქვათ – მათი ერთობა ნამდვილად ჩამოჰგავს გედის, კიბოს და ქარიყლაპიას მეგობრობას, მაგრამ როგორც კი ცხენს მოიშორებენ, ისეთს იზამენ, წარმოდგენაც კი მზარავს. მართალია, სახედრები არიან, შვიდი ფეოდალის ინსტინქტი მომენტალურად ამუშავებდა. რაც შეეხება გარეულ შებერტყილებს, ისინი გაიბუტებიან და სადგომთან ახლოსაც არ მიგვაკარებენ. **ასე გვაშინებენ და გვაშანტაჟებენ რამდენიმე წელია რასა და ვიოლა, ანდრიუს და ჟიგიმანტას შებერტყილები!** თუმცა ვეჭვობ, ყოველივე ეს გაცილებით ადრე აქვთ მოფიქრებული. ახლა ალეგორიას მოვეშვათ, მას მოგვიანებით მივუბრუნდეთ და ადამიანურად, პირდაპირ ვთქვათ სათქმელი:

ევროპარლამენტში კრიზისია!..

კრიზისი სინდისის და კრიზისი აზროვნების. რომელი მეტი უბედურებაა, რთული სათქმელია. იმედია, თვითონ გაერკვევიან – რაში გამოიხატება სინდისის კრიზისი – იმაში ხომ არა, რომ სამი ათეული წელი მეგობრობას გვეფიცებიან და შინაურ ვირეშმაკებთან ნათესაობის თუ გარიგების გამო „ბორტს“ მიღმა გვყრიან, უკლებლივ ყველა ამქვეყნიერს?!

რაც შეეხება აზროვნების კრიზისს, აქ გაცილებით მძიმე ვითარებაა, იმასაც ვერ აცნობიერებენ, რომ ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ამქვეყნიურებისგან, შეუძლებელი არ უნდა მოითხოვო, დასანგრევად არ უნდა გაიმეტო ის, რისი დანგრევაც ორმაგი სისულელე და თავისტკივილია ყველასთვის, შინ თუ გარეთ. ამას ვერ ხვდებიან... თორემ...

„ტოპ-ტვინების“ ჯყლეტის შემდეგ გამოიგონეს ვირეშმაკთა პოლუსებიანი გაერთიანება, სახელად – კოალიცია. ამათ მიუერთეს სამოქალაქო და საინფორმაციო ვირეშმაკთა სამსახურები. მართალია, ამ უკანასკნელთა ინტელექტუალური და გონებრივი შესაძლებლობები, წიგნიერების ხარისხი ფსკერს ქვევითაა, მაგრამ ესეთები ურჩევნიათ – ასეთ საქმეებში გარეულები, ცდილობენ, აღნიშნულ „თანავარსკვლავედში“ მოაქციონ ასევე, ე. წ. ცნობადი სახეები – რეალურად სნობები, რათა ამ უკანასკნელთა ზეწოლით დააშინონ და დააბნიონ მშიშარა ამქვეყნიერები. მშიშრები შიშობენ – თუ არ დავექვემდებარებით, „სნობადები“ გოიმეობად მოგვნათლავენ, ეს კი სირცხვილი და თავის მოჭრა იქნება ევროპული მასშტაბით და ვინ იცის, კიდევ რამდენი სიგიჟე...

ეს ყველა რომ ერთად მოაგროვეს, გარეულებმა მოითხოვეს – იგალობეთ ევროპულად, მოქმედებით კი მტრის საკეთებელი აკეთეთ.

„ლოკოკინას პაწია ტვინით გათვალეს და შემდეგ დაასკვნეს, რომ სწორედ ამგვარი ერთობა, უსიტყვოდ შემსრულებელი მითითებებისა, იქნება ხსნა და გადარჩენა ბნელი ზრახვებისა. არ ახსოვთ, ან არ უნდათ გაიხსენონ ფილმი, რომელიც ბევრჯერ ვნახეთ ამქვეყნიურებმა. ეს არის თრილერი, სადაც ვირეშმაკთა ბრბო ხელთ იგდებს ძალაუფლებას, მცირე ხნით ზეიმობს, მერე კი ომს უცხადებს ერთმანეთს – **და იყო ომი დაუნდობელი შურით, გაუტანლობით, ნგრევითა და მსხვერპლით. ისმოდა ყიჟინა ვირეშმაკთა ბრბოების...**

მერე იცვლება კადრი და ნანგრევებზე ამაყად წამოიმართება „ვირიჭამია ვირეშმაკა“ სისხლისფერი დროშით, აქოჩრილი და ატრუებული... მერე რა იყო, აღარ მახსოვს, ასაკის ბრალია... აქ უნდა გავჩერდე, შესაძლოა სათქმელი გაცილებით მეტია, მაგრამ „გადაღლილობამ“ იჩინა თავი.

რა შეიძლება ითქვას დასკვნის სახით?!

როგორც უკვე ვთქვი, ვირეშმაკები, სნობები და მშიშრები ერთ საზიდარში შეებნენ! უდავოა, დიდი ხნით ერთად ყოფნა არ უწერიათ. ამას არც თვითონ მალავენ. რამდენიმე სნობად ვირეშმაკას აკი წამოცდა კიდეც – ერთმანეთთან ჩხუბის და დაპირისპირების დრო არაა, ჯერ კარგად მოვეწყოთ და მერე რამდენიც გინდათ, იმდენი ვიჩხუბოთო! მოკლედ, ზუსტად ის თქვეს, რაც ფილმში იყო აღწერილი.

ეს ამბავი ნამდვილია, პერსონიფიცირებაც კი შეიძლება, როდის და ვინ გაახმოვანა ის.

მიზანი ამ ალეგორიული ნაამბობისა ერთადერთია:

ის არ ეხება ასაკოვან შებერტყილებს, მათ აღარაფერი ეშველებათ. კარგად ახსოვთ ზემოხსენებული ფილმიც, მაგრამ ახალგაზრდების გასაგონად ითქვა, რომლებსაც არ უყვართ ძველი შავ-თეთრი ფილმების ყურება, თვითონ კი არ გამოუვლიათ ის, რაც თაობებმა გამოიარეს...

ერთს დავამატებდი: ვირეშმაკებისა და „სნობადების“ პროევროპულობა სიყალბეა, ისეთივე ერთჯერადი, როგორც გედის, კიბოს და ქარიყლაპიას ერთობა.

ყველას გვინახავს ტყეში, ან რომელიმე საქმიან ეზოში დაგდებული ხის მორი. საწყალ მორსაც კი სურს, ცოტა მეტი იყოს, ვიდრე რეალურადაა. უნდა ალბათ რაიმე მხატვრული ღირებულებების საგნად, ნაკეთობად გადაიქცეს, თუნდაც სავარძლად, საუკეთესო შემთხვევაში, ძვირფას ვიოლინოდ. თუკი მორს შეიძლება ჰქონდეს ამგვარი სურვილი, რა გასაკვირია, გამოუცდელ თინეიჯერებს ასევე უნდოდეთ რამე განსაკუთრებული, მით უფრო, როცა გამოცდილი შებერტყილები და „სნობადები“ აგიუებენ, გმირებად ნათლავენ, რომ მათი მსგავსი არ ჰყოლია ქვეყანას ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, რომ მათ გამოიგონეს ველოსიპედი, გახლიჩეს ატომი და ა. შ.

დაწვავ შენობას? – გმირი ხარ, დაწვავ ტრანსპორტს? – უფრო დიდი; დაწვავ ადამიანს? – მთლად უკეთესი. გაჭედავ გზაზე საავადმყოფოში გადასაყვან ადამიანს? – სუპერგმირი გახდები. აი, ამგვარ სიგიჟეებს აჭერებენ და ახალგაზრდებიც სიხარულით ისრუტავენ სიგიჟეებს.

მოკრძალებულად ვურჩევდი მათ: ნუ დაიზარებენ, ყურადღებით წაიკითხონ ვაჟას „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“, ილიას „ბედნიერი ერი“, ორჯერ, სამჯერ გადაიკითხონ. მჯერა, გამოიტანენ მართებულ დასკვნას სამომავლოდ, ნაკლებ შეცდომას დაუშვებენ, მხოლოდ ასე აიცილებენ თავიდან თაღლითი ვირეშმაკებისა და „სნობადების“ ბულინგს.

მერაბ ხვიჩია,
2024, ნოემბერი

ყური არ მიუგდოთ ევროძიებსა და ევროდეიდებს!

მამებისა და შვილების დაპირისპირება – ზოგჯერ უკიდურესად მწვავეც, უკლებლივ ყველა დროის თანამდევი ნიშანია, რომელსაც, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, ამა თუ იმ ქვეყნისთვის ბევრი განსაცდელი მოუტანია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგების არამცნობთა და ამის სათქმელად ქუჩის პროტესტებში გამოსულთა უმრავლესობა სწორედ ახალგაზრდები, სტუდენტები არიან, რომლებსაც ქვეყანაში ვითარების არევა სურთ, თუმცა კი ასეთ გახლეჩილ საზოგადოებაში გაუსაძლისი ყოფის შესახებ წარმოდგენაც არა აქვთ!

გასული საუკუნის 90-იანი წლების დაპირისპირების დასრულების შემდეგ, ხალხი თითქოს იმ აზრზე იყო, რომ კიდევ ერთ, ასეთ სამოქალაქო არეულობას ქვეყანა ვერ გადაიტანდა, მაგრამ გავიდა სულ რამდენიმე წელიწადი და ადამიანები ახლა კვლავ ზიზღით უბღვერენ ერთმანეთს. არადა, მავანთა მიერ, მართლაც რომ უცხოური მხარდაჭერით ნასაზრდოები „უკმაყოფილების“ მთავარი მამოძრავებელი ძალა – ისევე, როგორც პოლიტიკურ სისაძაგლეთა უმეტესობა – სწორედ რომ ფულია – განა ამას არ ცხადყოფს „სამოქალაქო საზოგადოებაზე“ და უზნეო კრიტიკულ მედიაზე, გამოთაყვანებული პაპა ბორელის შეპირებული 100 მილიონი ევრო?!

შემოდგომა რომ უაღრესად დაძაბული იქნებოდა, ხოლო გარკვეული პოლიტიკური ძალები – „გამარჯვებულები“, რომელთაც ეს ტრიუმფი „მოპარეს“, ლამის საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის დღიდან იყო ცნობილი და აკი ეს სცენარი ხორციელდება კიდეც. მდგომარეობის არევა ქვეყნის შიგნით და სამშობლოსთვის ტალახის სროლა მის საზღვრებს გარეთ, საკუთარი ეკონომიკის დაქცევა და ცრულოზუნგებს ამოფარებული დემაგოგიის დანერგვა, ცრუპატრიოტიზმის იარლიყით საუკუნეების უდიდესი ტანჯვაგამოვლილი ერის გადამრჩენელი საყოველთაოდ აღიარებული რწმენის, სიწმინდეებისა და წეს-ჩვეულებების ფეხქვეშ გათელვა – აი, რა მოსდევს მავანთა მიერ დაზეპირებულ „მოთხოვნებს“ – უცხოელებმა გაარჩიოს მტყუან-მართალი, მათ გვიკარნახონ კანონები, მათ გვმართონ...

განა ყველაფერი ეს იმ განუსჯელი რუსეთის ისტორიის კვალში დგომა არ არის, რომლებიც ვარიაგებს, ანუ ვიკინგებს მიმართავდნენ მუხლისჩოქვით – მიწები ჩვენი მდიდარია ყოველივე დოვლათით, ოღონდ წესრიგს ვერ ვამყარებთ, მობრძანდით და გვიპატრონეთო!..

ქუჩაში დგომას, ვიღაცების დასამადლებლად მოტანილი ყავითა და ხაჭაპურით გულის გამაგრებას და ქვეყნის არევის მცდელობას, არ სჯობს, ყველაფერ ამაზე საღი გონებით დაფიქრება, საკუთარ გულში ჩახედვა და არა კერძო მიზნების მიღწევის მანიაკური სურვილით შეპყრობილ პოლიტიკოსთა აღზევებისთვის ჯერ – მონად და შემდეგ საზარბაზნე ხორცად ყოფნა?

ოთარ ტურაბელიძე

მესამე მსოფლიო ომის საფრთხე იზრდება

რუსეთი უკან არ იხევს!

რუსეთ-უკრაინის ომი უმძიმეს ფაზაში შედის, რაც მესამე მსოფლიო ომის საშიშროებას ზრდის. აშშ-ის და ინგლისის გადაწყვეტილებით, რომლებმაც უკრაინის დახმარების კუთხით, კიდევ ერთი „წითელი ხაზი“ მოხსნეს შორი რადიუსის რაკეტებით რუსეთის სიღრმეში დარტყმის ნებართვით, დაემატა საფრანგეთიც. 20 იანვრამდე, როდესაც უკვე თეთრ სახლში ოფიციალურად შევა დონალდ ტრამპი, რომელსაც გაცხადებული აქვს, რომ რუსეთ-უკრაინის ომს დაასრულებს, ეს ძალები ცდილობენ, დაიყოლიონ გერმანია და მხარდაჭერა მიიღონ ნატოს წევრი თურქეთისგან.

კრემლის პრეს-სპიკერის დმიტრი პესკოვის განცხადებით, პუტინი იძულებულია უპასუხოს აშშ-ის მიერ პროვოცირებულ უპრეცედენტო ესკალაციას. მხოლოდ გასული დღე-ღამის განმავლობაში რუსეთის საჰაერო თავდაცვის ძალებმა რვა ბალისტიკური რაკეტა ჩამოაგდეს. აქედან ექვსი ამერიკული წარმოების JDAM-ის ტიპის მართვადი საჰაერო ბომბი და 45 თვითმფრინავის ტიპის უპილოტო საფრენი აპარატი.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მტკიცებით, ოპერატიულ-ტაქტიკურმა ავიაციამ, დრონებმა, სარაკეტო ძალებმა და არტილერიამ დაარტყა სამხედრო აეროდრომებს, ენერგეტიკულ ობიექტებს, რომლებიც მხარს უჭერენ უკრაინის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საწარმოებს და უკრაინის შეიარაღებული ძალების ცოცხალი ძალისა და ტექნიკის თავმოყრის 130-ზე მეტ ადგილს.

თავის მხრივ უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს დეზინფორმაციასთან ბრძოლის ცენტრის ხელმძღვანელი, ანდრეი კოვალენკო ადასტურებს, რომ უკრაინული დრონები რუსეთის ქალაქ კალუგაში მდებარე სამხედრო-სამრეწველო ქარხანა „ტაიფუნს“ დაესხნენ თავს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, არ უნდა არსებობდეს წითელი ხაზები, როდესაც საქმე უკრაინის მხარდაჭერას ეხება. ჟან-ნოელ ბარომი თვლის, რომ ყოველთვის, როცა რუსული არმია წინ მიიწევს ერთი კვადრატული კილომეტრით, საფრთხე ერთი კილომეტრით უახლოვდება ევროპას.

„უკრაინას შეუძლია, ფრანგული შორ მანძილზე მოქმედი რაკეტების გასროლა რუსეთში თავდაცვის ლოგიკით. დასავლელმა მოკავშირეებმა არ უნდა დააწესონ რაიმე შეზღუდვა რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის მხარდაჭერაზე და არ დაადგინონ და გამოკვეთონ წითელი ხაზები“, – აღნიშნა ჟან-ნოელ ბარომ, რომელმაც არ გამორიცხა ფრანგული ჯარების ბრძოლაში ჩართვა.

რუსეთ-უკრაინის ომი იყო ნატოს გენერალურ მდივანსა და თურქეთის პრეზიდენტს შორის საუბრის მთავარი თემა. მარკ რუტემ და რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ნატო-ს მოკავშირეებს შორის თავდაცვის სფეროში შესყიდვებზე დაბრკოლებების მოხსნაზე და ტერორიზმის წინააღმდეგ სამხედრო ალიანსის ერთობლივ ბრძოლაზე ისაუბრეს.

როგორც Reuters-ი წერს, ნატოს წევრი თურქეთი, რომელიც რუსეთის უკრაინაში შეჭრას გმობს, აცხადებს, რომ მხარს უჭერს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას და კიევს სამხედრო დახმარებას უწევს, მაგრამ ამავე დროს თურქეთი ეწინააღმდეგება დასავლეთის მიერ მოსკოვის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს. რაც შეეხება აშშ-ის გადაწყვეტილებას, უკრაინას რუსეთის ტერიტორიაზე თავდასხმებისთვის შორ მანძილზე მოქმედი რაკეტების გამოყენებას, ერდოღანი აცხადებს, რომ ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო გაამწვავებს კონფლიქტს.

რუსეთ-უკრაინის ომის გლობალური საფრთხეს უახლოვდება. რუსეთი ამ ვითარებაში მოლაპარაკებაზე არ მიდის. პროფესორ **თემურ მაისურაძის** განცხადებით, როდესაც ქვეყნები ერთიანდებიან და ყველა მომართულია რუსეთის წინააღმდეგ, რომ შესაძლებელია რუსეთი მოლაპარაკებების დროს უფრო მეტ დათმობაზე წავიდეს, ძალიან ცდებიან, ისევე როგორც ცდებოდნენ სანქციების დროს და ყველა სხვა წინარე ნაბიჯებში. მისი თქმით, რუსეთს მკვეთრად აქვს გამოკვეთილი, რაზე შეიძლება გაჩერდეს, სად არის ზღვარი, რომელსაც რუსეთი არ დათმობს.

„სამი საკითხია – პირველი – ეს იყო დენაციფიკაცია, მეორე – ნატოს დაუბრუნდებოდა ძველ გაზებს და მესამე – უკრაინა არასოდეს არ გახდებოდა ნატოს წევრი ქვეყანა, ანუ აბსოლუტური გარანტირებული უარი იმაზე, რომ უკრაინა ვერასოდეს ვერ იქნება ნატოს წევრი. აი, ეს სამი საკითხია, რომელიც რუსეთმა დააყენა. შესაბამისად, ნებისმიერი სხვა ვარიანტზე შეთანხმება რუსეთისთვის იქნება დროში მოქმედების ნაღმი, რომელიც როდის აფეთქდება, თავად რუსეთს არ ეცოდინება. შესაბამისად, მისი ამოცანაა, მიიღოს მაქსიმუმი და ცხადია, ასევე მაქსიმუმის სურვილი აქვს დასავლეთს. არის ლუფტი პირველ და მეორე პრეზიდენტს შორის. ტრამპის გაცხადებული მიზნები გასაგებია, მას უნდა ომის გაჩერება, თუმცა იმ მომენტისთვის, რამდენად დაიძაბება სიტუაცია, რომ რუსეთი წავიდეს მაქსიმალურ დათმობაზე? ჩანს, რომ რუსეთი ამას არ აპირებს და ამან შეიძლება გამოიწვიოს უფრო აღმატებული ხარისხით დაძაბულობის ზრდა, იმიტომ რომ რუსეთი არ გაჩერდება“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას თემურ მაისურაძე.

თამთა ძარჩავა

ხოცვა-ჟლეტა გრძელდება!

2022 წლიდან ომში 100 ათასამდე უკრაინელი სამხედროა მოკლული, რუსეთის დანაკარგი კიდევ უფრო დიდია

„ეკონომისტის“ ცნობით, 2022 წლიდან ომში 60-დან 100 ათასამდე უკრაინელი სამხედროა მოკლული. გამოცემა ეყრდნობა დასავლური სადაზვერვო სამსახურების, აშშ-ის ადმინისტრაციის და ღია წყაროების მონაცემებს. ამავე სტატიის მიხედვით, კიდევ დაახლოებით 400 ათასი უკრაინელი სამხედრო დაიჭრა და ვეღარ შეძლო საბრძოლო ველზე დაბრუნება.

თითქმის სამი წლის განმავლობაში მიმდინარე ომში მოქალაქეთა შორის მსხვერპლი, გაზეთის შეფასებით, ათობით ათასს აღწევს. ამასთან, პუბლიკაციის ავტორები აღნიშნავენ, რომ დაღუპული სამოქალაქო პირების შესახებ ინფორმაცია უფრო ნაკლებია, ვიდრე მოკლული სამხედროების შესახებ.

60 ათასი დაღუპული 18-დან 49 წლამდე მამაკაცები არიან, რაც ომამდე უკრაინაში მცხოვრები ამ კატეგორიაში შემავალი მოქალაქეების 0,5%-ს შეადგენს.

„თუ ვივარაუდებთ, რომ თითოეულ დაღუპულზე მოდის 6-8 მძიმედ დაჭრილი, მაშინ გამოდის, რომ სამხედრო გაწვევის ასაკის თითქმის ყოველი მეოცე მამაკაცი დაიღუპა ან მიიღო იმდენად მძიმე დაზიანება, რომ აღარ შეუძლია ბრძოლის გაგრძელება“, – წერს „ეკონომისტი“.

„ეკონომისტის“ ერთ-ერთი წყარო არის UAlosses საიტი, რომელიც უკრაინის დანაკარგებს ღია წყაროების მიხედვით ითვლის. ამ რესურსის მონაცემებით, 2022 წლიდან დაიღუპა, სულ მცირე, 60 435 უკრაინელი სამხედრო. საუბარი არ არის ოფიციალურ ციფრებზე. უკრაინისა და რუსეთის თავდაცვის სამინისტროები დანაკარგების შესახებ ოფიციალურ მონაცემებს არ აქვეყნებენ.

„ეკონომისტი“ სადაზვერვო მონაცემებზე დაყრდნობით წერს, რომ რუსეთის დანაკარგი ომში კიდევ უფრო დიდია. მათი მონაცემებით, რუსეთმა დაკარგა დაახლოებით 200 ათასი სამხედრო. Media Zone-სა და BBC-ის ჟურნალისტებმა ღია წყაროებით დაადგინეს 70 ათამდე დაღუპული რუსი სამხედროს ვინაობა.

„ეკონომისტი“ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ უკრაინაში მიმდინარე ომში დაღუპულთა რაოდენობა უახლოვდება აშშ-ის დანაკარგებს მეორე მსოფლიო ომში.

ნეთანიაჰუს დიდ ბრიტანეთში არ ჩაესვლება

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნეთანიაჰუს დაკავება დააანონსა, თუ ის ქვეყანაში ჩავა

დიდი ბრიტანეთი ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გაცემული ორდერის საფუძველზე ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბენიამინ ნეთანიაჰუს დააკავებს, თუ ის ბრიტანეთში ჩავა!

„აქ მე თავისუფალი ვერ ვიქნები. მე ნეთანიაჰუს გადავცემ სასამართლოს. სასამართლოებმა თავად მიიღონ გადაწყვეტილება“, – განაცხადა ლემმ.

ამასთან, მისივე თქმით, ის გააგრძელებს ნეთანიაჰუსა და ისრაელის სხვა თანამდებობის პირებთან საუბარს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ცეცხლის შეწყვეტა ღაზის სექტორში და ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნა პალესტინის ტერიტორიაზე.

“მე ვთვლი, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხებია, რომელიც მთავრობაში მომუშავე ადამიანების, ჩვენს მონაწილეობასაც საჭიროებს. მე ვერ ვხედავ ისეთ გარემოებას, რომლის გამოც ისრაელის მთავრობის წარმომადგენლებთან ვერ ვისაუბრებდი“, – დასძინა ლემმ.

შეგახსენებთ, ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ნეთანიაჰუსა და ისრაელის თავდაცვის ყოფილი მინისტრის იოავ გალანტის დაკავების ორდერები გასცა.

დედაქალაქი საახალწლოდ ემზადება

საახალწლო ღონისძიებები 13 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით გაიმართება

დედაქალაქის მერის კახა კალაძის განცხადებით, საახალწლო ღონისძიებები მიმდინარე წლის 13 დეკემბერს დაიწყება და 26 დღის განმავლობაში გაგრძელდება.

როგორც მან თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, იუსტიციის სახლის ავტოსადგომზე განთავსდება ყინულის მოედანი, რომელიც წინა წელთან შედარებით, ოთხჯერ უფრო დიდი იქნება.

„საახალწლო ღონისძიებები 13 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით არის დაგეგმილი. გასულ წლებთან შედარებით, საახალწლო ღონისძიებები წელს კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი იქნება, რადგან ორბელიანის მოედანსა და დედაენის ბაღს დაემატება იუსტიციის სახლის ავტოსადგომზე განთავსებული საციგურაო მოედანი, რომელიც წინა წელთან შედარებით, ოთხჯერ უფრო დიდი იქნება. 26 დღის განმავლობაში მრავალფეროვანი გასართობი, სანახაობრივი ღონისძიებების გამართვას ვგეგმავთ. დედაქალაქის მოსახლეობისა და სტუმრებისთვის მოწყობილი საახალწლო სივრცეები საინტერესო წარმოდგენა-პერფორმანსებით, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო, საბავშვო, სხვადასხვა თემატური აქტივობით და განსხვავებული ჟანრის კონცერტებით დაიტვირთება“, – განაცხადა თბილისის მერმა.

ამასთან, კახა კალაძემ „საშობაო სოფლის“, ქუჩების, სკვერებისა და სხვადასხვა არეალის მორთვის პროცესში მიზნესსექტორის წარმომადგენლებს აქტიურობისკენ მოუწოდა.

„ჩვენ დავამკვიდრეთ „საშობაო სოფლის“, ასევე, ქუჩების, სკვერების მორთვის ტრადიცია. ამ ყველაფერში ყოველ წელს ერთვება მიზნესსექტორი. მადლობა მათ მხარდაჭერისა და თანადგომისთვის, რადგან ყოველთვის იღებენ ქალაქის მორთულობაში მონაწილეობას. დარწმუნებული ვარ, წელსაც მიზნესსექტორისგან დიდი დაინტერესება იქნება და ერთად გავალამაზებთ ჩვენს დედაქალაქს. მინდა, ამჯერადაც მოვუწოდო მათ აქტიურობისკენ. მზად ვართ, გამოვუყოთ შესაბამისი სივრცეები, მათ კი შეუძლიათ, ერთგვარი პიარკამპანია ჩაატარონ. ჩვენ ამაში ხელს შევუწყობთ“, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

ჩვენი ოსკაროსანი ბათუმი

აჭარა მსოფლიოს ყველა სეზონის ტურისტულ მიმართულებად დასახელდა

ბათუმმა კიდევ ერთი ტურიზმის „ოსკარი“ მოიპოვა. ინფორმაციას აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს.

პორტუგალიის კუნძულ მადეირაზე გამართულ **World Travel Awards**-ის გალა ცერემონიაზე, ბათუმი მსოფლიოს ყველა სეზონის ტურისტული მიმართულებად დასახელდა. პრესტიჟული ჯილდოს მოსაპოვებლად ბათუმმა კონკურენცია გაუწია ისეთ ქალაქებს, როგორებიცაა მელბურნი (ავსტრალია), ოსლო (ნორვეგია), ჟენევა (შვეიცარია), მიუნხენი (გერმანია), ასპენი (აშშ), ბეიჯინი (ჩინეთი) და ვისლერი (კანადა).

„**World Travel Awards**“-ზე ასევე გამოვლინდა 2024 წელს, მსოფლიოს საუკეთესო ტურისტული მიმართულებები, ქვეყნები, სასტუმროები, ტურისტული სააგენტოები, ტურისტული ატრაქციები და სატრანსპორტო კომპანიები. წელს მსოფლიოს საუკეთესო საზღვაო მიმართულებად ალგარვე, ხოლო მსოფლიოს წამყვან ტურისტულ მიმართულებად პორტუგალია დასახელდა.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილემ ქრისტინე ძიძიგურმა განაცხადა, რომ აღნიშნული ჯილდო მნიშვნელოვანია, რათა ჩამოყალიბდეს უფრო მეტი ნდობა ქალაქის მიმართ ვიზიტორებსა და ინვესტორებში.

ბათუმის ჯილდოს ეხმიანება გრემ კუკი, **World Travel Awards**-ის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. „ვულოცავ ბათუმს გამარჯვებას – ყველა სეზონის ტურისტული მიმართულების ჯილდოს მოპოვებას, რაც მოიაზრებს თქვენი ქალაქისა და ზოგადად, საქართველოს ტურისტულ მიმზდიველობას წლის ნებისმიერ დროს, იქნება ეს გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა თუ ზამთარი.

ეს არის ქვეყანა, რომელმაც თავისი კლიმატით, სტუმართმოყვარე ხალხით, ტურისტული პოტენციალით, მზარდი მიმართულებიდან მონინავე პოზიციაზე გადმოინაცვლა. ყველას გილოცავთ ამ წარმატებას. მოგზაურები ეძებენ სიახლეებს – სათავგადასავლო თუ ველნეს ტურიზმი, ქვეყნის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა, ბუნებრივი რესურსები, და რაც მთავარია ხალხი, რომელიც საქართველოს უდიდესი სიმდიდრე გახლავთ. თქვენს ქვეყანას ახასიათებს გამორჩეული სტუმართმოყვარეობა და განსაკუთრებული კულინარია. მე და ჩემს გუნდს კარგად გვახსოვს შარშანდელი დახვედრის გამოცდილება, როდესაც ბათუმს ვესტუმრეთ. მე ყოველთვის ვამბობ, რომ ქვეყანასთან შეხება იწყება ჩასვლისთანავე მიღებული გამოცდილებით და სრულდება ქვეყნიდან გამგზავრებისას. ჩვენი ისტორიის განმავლობაში კი სწორედ ბათუმში გვქონდა ასეთი დახვედრა და ასეთივე გაცილება. სწორედ ამიტომ, უდავოდ, ბათუმი და საქართველო არის ის ადგილი, რომელსაც ჩვენ აუცილებლად დავუბრუნდებით“.

2019 წლიდან დღემდე ბათუმმა **World Travel Awards**-ის პრესტიჟული ჯილდო 6-ჯერ მოიპოვა. თავდაპირველად, როგორც ევროპის, ხოლო მოგვიანებით, როგორც მსოფლიოს სწრაფად მზარდმა ტურისტულმა მიმართულებამ. 2023 წელს, კი მსოფლიოს ტურიზმის დაჯილდოების ევროპის გალა ცერემონიაზე, რომელსაც აჭარამ უმასპინძლა, აჭარა ევროპის ოთხი სეზონის ტურისტულ მიმართულებად დასახელდა.

განახლებული „ავლაბარი“

მეტროსადგურ „ავლაბრის“ ზედა ვესტიბიულის რეკონსტრუქცია და კაპიტალური სამუშაოები დასრულდა.

როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, სამუშაოების მოცულობა ითვალისწინებდა სადგურის ზედა ვესტიბიულის სრულ რეკონსტრუქციას, გარე სადრენაჟე სისტემის მოწყობას, სამანქანე დარგაზის ფილის გამაგრებასა და შიდა სამეურნეო ოთახების მოწყობას.

კორექტირებული პროექტის მიხედვით, გამაგრდა სადგურის რკინა-ბეტონის თაღი და კოლონები, სრულად შეიცვალა სახურავის ჰიდროსაიზოლაციო ფენები, მოეწყო მიწისქვეშა წყლებისგან დამცავი გარე სადრენაჟე სისტემა, შეიცვალა სადგურის ინტერიერი და ფასადი, ზედაპირები მოპირკეთდა თანამედროვე მასალებით, გამოიცვალა იატაკის ფილები, განახლდა განათების, საინფორმაციო და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები და სხვა.

სამუშაოები ჩატარდა სადგურის დაკეტვისა და მგზავრთა შეფერხების გარეშე, სამშენებლო კომპანია „ბადა ქონსთრაქშენის“ მიერ.

რაც შეეხება სამუშაოების ჯამურ ღირებულებას, თბილისის მერის ინფორმაციით, ის, დაახლოებით, 4 მლნ ლარს შეადგენს.

28 ნოემბრიდან 6 იანვრის ჩათვლით საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იწყებს ქრისტეშობის მარხვას, ამასთანავე შობის მარხვის დღეები თევზით არის ხსნილი (ოთხშაბათის და პარასკევის გარდა) 2025 წლის 3 იანვრამდე.

ქრისტეშობის – „ფილიპეს“ მარხვის დასაწყისი

მეათე საუკუნის კრების საეკლესიო ოქმებში ქრისტეს შობის მარხვის შესახებ საინტერესო ცნობები გვხვდება.

რაც შეეხება მოციქულ ფილიპეს, ის დიდად განსწავლული იყო წმინდა წერილში, მას სწორად ესმოდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა არსი და მესიის მოლოდინით ცხოვრობდა.

საგულისხმოა ისიც, რომ იესო ქრისტეს აღდგომისა და მისი ამაღლების შემდეგ მოციქული ფილიპე გალილეაში ქადაგებდა ღვთის სიტყვას და მას სასწაულები თან ახლდა.

გიული ლიპარტია

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სტეფანწმინდის შემოვლითი გზის საპროექტო მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 16 დეკემბერი, 13:00 საათი, დაბა სტეფანწმინდის კულტურის სახლის შენობა (მის: ყაზბეგის ქ. N24)

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

საჯარო განხილვა დიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 19 ნოემბერი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

◎ ნდობა

ნაღდი კაპი

სიურპრიზები სპორტის მშვენებაა. პოლიტიკაც გარკვეულწილად სპორტია – აზარტით, პერსონაჟთა აღზევებითა თუ დაცემით და მოულოდნელობებითაც.

დიახ, ალბათ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მმართველი პარტია ქვეყნის მეექვსე პრეზიდენტის პოსტზე რეკომენდაციას სახელოვან ფეხბურთელს **მიხეილ ყაველაშვილს** გაუწევდა, მაგრამ ეს უკვე მომხდარი ფაქტია და ჩვენც ანგარიში უნდა გავუწიოთ ამასწინანდელ რეფერენდუმის ტოლფას საპარლამენტო არჩევნებში ტრიუმფით გამარჯვებული ქართული ოცნების ლიდერშიპის არჩევანს.

უპირველესად, შეგახსენებთ, რომ სახელმწიფოს, დიდი ალბათობით, მომავალი მეთაური და უმაღლესი მთავარსარდალი სამი ქვეყნის – საქართველოს (თბილისის დინამო), რუსეთისა (ვლადიკავკაზის ალანია) და შვეიცარიის (ციურიხის გრასხოპერსი) ჩემპიონია, ეროვნულ ნაკრებში 1991-2002 წლებში ჩატარებულ 46 შეხვედრაში კი 9 გოლი გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ მან საკლუბო კარიერა საბედისწერო 1989 წელს საკავშირო ჩემპიონატში ერევნის არარატთან მატჩში **გიორგი ნემსაძესთან** ერთად დაიწყო, რომელმაც დინამოელთა საოცნებო მაისურით დებიუტი გოლით დაასველა.

სხვათა შორის, განუყრელ მეგობართა გზები 2007 წლის 13 მაისს განვითარებული სამარცხვინო მოვლენების დროსაც გადაიკვეთა, როცა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ მაშინდელ სამფეროვანთა ყოფილ კაპიტანს ნაციონალურმა რეჟიმმა, მისივე პოპულარული ტერმინით თუ ვიტყვით, არჩევნები მოპარა და ყაველა იმ იშვიათთაგანი გახლდათ, ვინც იმდროინდელ პოლიტიკურ ასპიტთა წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ხმის ამაღლება გაბედა!

ასე რომ, უკანასკნელ წლებში სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე მდგარი ყოველივე ეროვნულის მოტრფიალე თუნდაც სპორტსმენის შეურიგებელი მოქალაქეობრივი პოზიცია ხალხის ძალის ერთ-ერთ ლიდერს ღირსეულ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პატრიოტ მოღვაწედ წარმოაჩენს. გზა დავულოცოთ მას!

გია პლატონიშვილი

◎ უმრავლოთ!

გოგონათი დაიწყეს!

დიდი სიხარულია საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მეკარის გიორგი მამარდაშვილისა და მოდელ ელენე ეკიტაშვილის ოჯახში – ისინი პირველი შვილის მშობლები გახდნენ. ბედნიერმა დედამ უკვე გამოაქვეყნა მამა-შვილის პირველი ფოტოები, თუ როგორ მიჰყავს გიორგის პატარა ენი სამგზავრო კალათით კლინიკიდან სახლში.

გილოცავთ! გამრავლდით!

◎ კონტრაქტი

ახალი ვარიანტი

როგორც მოგეხსენებათ, ხვიჩა კვარაცხელიასა და ნაპოლის შორის ახალი კონტრაქტის თაობაზე მოლაპარაკებები წარუმატებლად მიმდინარეობს და ფეხბურთელის გარემოცვას კლუბის მხრიდან შეთავაზებული პირობები არ აკმაყოფილებს.

ამასობაში ქართველი ვარსკვლავის გადაბირების ერთ-ერთ მსურველად დასახელდა მანჩესტერ იუნაიტედი, სადაც ახალ მწვრთნელად პორტუგალიელი რუბენ ამორიმი დაინიშნა, რომელმაც ბოლო წლებში ლისაბონის სპორტინგი გამოაცოცხლა.

გამოცემა სპორტ მედიასეტი იუწყება, რომ გარემარბის ძიების პროცესში მყოფი წითელი ეშმაკუნები სერიოზულ ინტერესს ავლენენ საქართველოს ეროვნული ნაკრების ლიდერის მიმართ და მზად არიან იტალიელებს 5-წლიანი კონტრაქტი შესთავაზონ კვარასთვის სეზონში 8 მილიონი ევროს და ბონუსად 1 მილიონის სანაცვლოდ.

◎ ჩემპიონთა ლიგა

უცნობი სცენარით

სატურნირო მდგომარეობა 5 ტურის შემდეგ:

ლივერპული – 15, ინტერი– 13, ბარსელონა, დორტმუნდი – 12, ატალანტა – 11, ლევერკუზენი, არსენალი, მონაკო, ასტონ ვილა, სპორტინგი, ბრესტი, ლილი – 10, ბაიერნი, ბენფიკა, ატლეტიკო, მილანი – 9, სიტი, ეინდჰოვენი, იუვენტუსი, სელტიკი – 8, ფეიენოორდი, ბრიუგე, ზაგრები – 7, რეალი – 6, პარი სენ ჟერმენი, შახტარი, შტუტგარტი, სპარტა – 4, შტურმი, ჟირონა, ცრვენა ზვეზდა, ზალცბურგი – 3, ბოლონია – 1, ლაიფციგი, სლოვანი, იანგ ბოიზი – 0 ქულა.

◎ ხმაურიანი დებიუტი

სიმბოლურ ხუთეულში!

ფიბას ოფიციალურმა ვებგვერდმა საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი პამარ ბოლდუინი 2025 წლის ევრობასკეტის საკვალიფიკაციო ეტაპის მე-4 ტურის ტოპ-ხუთეულში დაასახელა.

„ბოლდუინი საუცხოოდ თამაშობდა ფინეთთან შინ მოგებულ მატჩში, რომელშიც მისმა სარგებლიანობის კოეფიციენტმა 34 შეადგინა. კამარმა 4 სამქულიანი ჩააგდო. მან ჯვაროსნებს 22 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება შესძინა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლდუინი ამავე მეტოქესთან სტუმრად გამართულ შეხვედრაშიც გამოირჩეოდა და პარტნიორებს 23 ქულა, 4 მოხსნა და 5 პასი შეაწია. კამარისთვის საქართველოს ნაკრების მაისურით ეს პირველი გადატანილი ბრძოლები იყო“ – ნათქვამია ტექსტში.

რაც შეეხება დანარჩენ სოლისტებს, ფიბამ სიმბოლურ ხუთეულში დაასახელა: **ნენად დმიტრიევიჩი** (ჩრდილოეთ მაკედონია, 43 ქულა ლიეტუვასთან), **მატეუშ პონიტკა** (პოლონეთი, 27 ქულა და 8 მოხსნა ესტონეთთან), **ჩედი ოსმანი** (თურქეთი, 33 ქულა და 11 მოხსნა უნგრეთთან) და **ონდრეი გალვინი** (ჩეხეთი, 15 ქულა, 13 მოხსნა და 6 პასი ნიდერლანდებთან).

როგორც იცით, სუომისთან მოპოვებული 2 გამარჯვებით **ალექსანდრ ჯიკიჩის** გაწვრთნილმა გუნდმა ჯგუფური რაუნდის სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილზე გადაინაცვლა, დასკვნით მატჩებს კი გაისად თებერვალში დანიასთან შინ და სერბეთთან სტუმრად ჩაატარებს.

◎ პატივი

ბოკესთან – მესამედ

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ივლისში მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ სამხრეთ აფრიკასთან ტესტ-მატჩს გამართავს.

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა. შეხვედრა 19 ივლისს სამხრეთ აფრიკაში გაიმართება და ქალაქი ჯერ უცნობია.

საქართველოს ნაკრებს სამხრეთ აფრიკასთან აქამდე ორჯერ უთამაშია: 2003 წლის მსოფლიო თასზე მეტოქემ 46:19 გაიმარჯვა, ხოლო 2021 წელს, ტესტ-მატჩში 40:9 მოიგო.

◎ რინგზე

ახალი ბიჯნა

ქართველი მოკრივე ლაშა გურული პროფესიონალურ კრივში იბრძოლებს. მან ოფიციალურად მოაწერა ხელი ხელშეკრულებას.

ლაშა გურულის დებიუტის თარიღი და მეტოქის ვინაობა მალე გახდება ცნობილი. შეგახსენებთ, რომ ლაშა გურული 63,5 კილოგრამში ასპარეზობს. მან პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე მე-3 ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ქართველი სპორტსმენი ასევე ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორიც გახლავთ.

◎ უცნაურ ამპლუაში

ამიერიდან – გოლფში

დიდი მუზარადის ტურნირების 22-გზის ტრიუმფატორმა რაფაელ ნადალმა ბალეარის კუნძულებზე გამართულ გოლფისტთა ასპარეზობაში ითამაშა და მალიორკის კლუბში დებიუტი საუკეთესოთა ათეულში მოხვედრით აღნიშნა.

„მიყვარს საუცხოო სახეობა, რადგან მისით გატაცების დროს ლამაზ ადგილებს ათვალიერებ და ტრავმის მიღების ალბათობა მინიმალურია“ – განაცხადა 38 წლის გრუნტის ესპანელმა მეფემ.

შეგახსენებთ, რომ მან სასახელო საჩოგბურთო კარიერა განვლილ კვირაში დაასრულა, როცა ბოლო შეხვედრა დევისის თასზე ნიდერლანდელ ვან ზანდსხულტთან დათმო – 4:6, 4:6.

გახარიამ იცის...

მეოთხე გვერდიდან

„აქვე გვინდა გამოვეხმაუროთ აღნიშნული პოლიტიკური სუბიექტების განცხადებებს სიების გაუქმებასთან დაკავშირებით და განვაცხადოთ, რომ უწყების გადაწყვეტილება სიების გაუქმებასთან დაკავშირებით არ ნიშნავს, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია იზიარებს პარტიების შეფასებებს არჩევნებთან დაკავშირებით... ცესკო არ იზიარებს პოლიტიკური პარტიების მიერ სიების გაუქმებასთან დაკავშირებით გამოგზავნილ წერილებში გამოთქმულ პოლიტიკური ხასიათის და უსაფუძვლო შეფასებებს საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისა და აღნიშნული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესახებ. ვთვლით, რომ აღნიშნული შეფასებები პოლიტიკური დღის წესრიგიდან გამომდინარეობს და არ ასახავს რეალობას... პარტიული სიების გაუქმების შესახებ ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებები და წერილები გაეგზავნებათ შესაბამის პოლიტიკურ გაერთიანებებს“, – ნათქვამია განცხადებაში.

ანალიტიკოსი ედიშერ გვენეტაძე For.ge-სთან საუბარში მიესალმება აღნიშნულ გადაწყვეტილებას და ამბობს, რომ ამით ოპოზიციურმა სექტორმა საკუთარ თავს პოლიტიკური განაჩენი გამოუტანა:

„მივესალმები, თუ ნაცები დარჩებიან ქუჩაში და დარჩებიან დაფინანსების გარეშე – ამით საბოლოოდ, უმტკივნეულოდ ერთხელ და სამუდამოდ, დამთავრდება საქართველოში ის უსაშინლესი ძალა, რასაც ჰქვია „ნაციონალური მოძრაობა“. მათ ადგილს დაიკავებს ის ძალა, რომელიც იქნება ქვეყნის წინსვლაზე ორიენტირებული.

ოპოზიცია ძალიან ელოდა ვითარების გამწვავებას ნოემბრის დღეებში, მაგრამ ბოლოს დარჩა 500 კაცი – ოთხმა პარტიამ ვერ გამოიყვანა ქუჩაში საკუთარი ოჯახის წევრებიც კი. ყველაფერი ფულზეა მათთან აწყობილი – ამით მათ საკუთარი თავი დაასრულეს“, – განაცხადა ედიშერ გვენეტაძემ.

რაც შეეხება გიორგი გახარიას, მისი პარტიის ლიდერები არ ჩქარობენ გადაწყვეტილების მიღებას. „გახარია საქართველოსთვის“ ლიდერმა, გიორგი გახარიამ აღნიშნა, რომ სიების ჩახსნაზე ვერავინ ვერ მოახდენს მათზე ზეწოლას და მანდატებს დატოვებენ მაშინ და ისეთი ფორმით, როცა საჭიროდ ჩათვლიან. მისივე თქმით, საპარლამენტო სიების ჩახსნით ოპოზიცია იმ კრიზისზე ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას, რომელშიც დღეს ქვეყანაა.

„რაც შეეხება სიების ჩახსნის თემას, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ სიების ჩახსნაზე ვერავინ ვერ მოახდენს ჩვენზე ზეწოლას. ჩვენ მკაფიოდ ვამბობთ, რომ დღეს სიების ჩახსნის თემაზე საუბრობს ის ხალხი, რომელსაც არაფერი რეალური არ აქვს, შესთავაზოს გაბრაზებულ ამომრჩეველს. იმიტომ, რომ ამომრჩეველი რეალურად გაბრაზებულია. ჩვენ ვამბობთ მარტივ რამეს, რომ სიების ჩახსნაზე საუბარი არ არის ის, რაც ოპოზიციას ბრალეულობას მოუხსნის იმ კრიზისზე, რომელშიც დღეს ვართ. ვინმე თ ფიქრობს, რომ სიების ჩახსნით იმ კრიზისზე მოიხსნის პასუხისმგებლობას, როოელშიც დღეს ქვეყანაა, ძალიან ცდება. არაც შეეხება სიებს, გავაკეთებთ მაშინ და ზუსტად ისე, როგორც ამას ჩვენ ჩავთვლით საჭიროდ. ამას არ ვკითხავთ არც „ნაცებს“ და არც ივანიშვილსა და მის პარტიას. მანდატებს დავტოვებთ მაშინ და ისეთი ფორმით, როცა ჩავთვლით საჭიროდ“, – განაცხადა გახარიამ.

ედიშერ გვენეტაძე მიიჩნევს, რომ, ადრე თუ გვიან, გიორგი გახარიას პარტია საკანონმდებლო ორგანოში მაინც შევა:

„გიორგი გახარიას პარტიაში შედარებით ჭკვიანი ხალხია. გიორგი გახარიამ იცის, პოლიტიკურ ხარაკირს მიიღებს, თუ პარლამენტში არ შევა. დღეს თუ ხვალ, გიორგი გახარია პარლამენტში შევა. რა უნდა გააკეთონ ქუჩაში?! – პარტია უნდა იყოს პარლამენტში. ნებისმიერი პოლიტიკური პარტია არსებობს და იბრძვის იმისთვის, რომ მას პოლიტიკური ტრიბუნა ჰქონდეს, რაც არის პარლამენტში.

ოპოზიციური პარტიები დახვეწილი გრიყვებით არის სავსე, ამავე დროს, პროფესიონალი არამზადებით – მათ ერთადერთი რამ აქვთ დავალებული გარედან, რომ რამენაირად ქვეყანაში ვითარება აატრიალონ, მაგრამ ვერ ახერხებენ“, – დასძინა ედიშერ გვენეტაძემ.

ნიკო ჩოხელი

SOS!

ონლაინ-თაღლითობის წინააღმდეგ ინტერპოლმა შთამბეჭდავი ოპერაცია ჩაატარა და 400 მილიონი დოლარი ამოიღო

ONLAIN-თაღლითობის წინააღმდეგ მიმართულმა ინტერპოლის ყოველწლიურმა ოპერაციამ ყველა რეკორდი მოხსნა: მთელი მსოფლიოს მასშტაბით, დაკავებულია 5500-ზე მეტი ადამიანი და ამოღებულია 400 მილიონი დოლარი

„ოპერაცია, სახელწოდებით **HAECHI V**, ივლისიდან ნოემბრამდე 40 ქვეყნის თანამშრომლობით ჩატარდა“, – ნათქვამია ლიონში დაფუძნებული კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის განცხადებაში. ამჯერად ინტერპოლის სამიზნეს წარმოადგენდა შვიდი სახის „კიბერთაღლითობა“, მათ შორის ვიშინგი (სატელეფონო თაღლითობის ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც კონფიდენციალური ინფორმაციის მიღების მიზნით მიმართავენ – **რედ.**), ე.წ „სენტიმენტალური თაღლითობა“, „სექსუალური შანტაჟი“ და უკანონო ონლაინ აზარტული თამაშები, რომლის დროსაც ხდება ფულის გათეთრება. ოპერაციის დროს სამხრეთ კორეელმა და ჩინელმა გამომძიებლებმა გაანეიტრალეს სატელეფონო ქსელის საშუალებით მოქმედი გამომძალველებების დიდი ჯგუფი, რომლებიც კლიენტებს თავს სამართალდამცავებად წარუდგენდნენ და მათგან ფულის გამოძალვას ახერხებდნენ. 1900-ზე მეტმა იდენტიფიცირებულმა მსხვერპლმა მთლიანობაში დაახლოებით 1,1 მილიარდი დოლარი დაკარგა.

გამომძიებლებმა ასევე გამოავლინეს კრიპტოვალუტით თაღლითობის ახალი პრაქტიკა. თავდაპირველად, მსხვერპლს სთავაზობდნენ პოპულარული კრიპტოვალუტის, **Tether**-ის შეძენას რეალური პლატფორმების საშუალებით, რის შემდეგ კლიენტს ელექტრონული ფოსტით ეგზავნებოდა მმული საკუთარი საინვესტიციო პროფილის შესაქმნელად, მაგრამ მასზე გადასვლით, გულუბრყვილო ადამიანები თაღლითებს გაუცნობიერებლად აძლევდნენ საკუთარ საფულეზე წვდომას, საიდანაც ფულის აღება კრიმინალებს საკუთარი შეხედულებისამებრ შეეძლოთ.

„კიბერდანაშაულის შედეგები შეიძლება იყოს დამღუპველი: ადამიანები კარგავენ დანაზოგს, ბიზნესი ზარალდება და ციფრული და ფინანსური სისტემებისადმი ნდობა ირყევა“, – ნათქვამია ინტერპოლის ახალი გენერალური მდივნის ვალდეკი ურკიზამ განცხადებაში.

„ჩვენმა ძალისხმევამ განაპირობა არა მხოლოდ კრიმინალების პასუხისგებაში მიცემა, არამედ ასევე მნიშვნელოვანი პროგრესი უკანონო თანხების ჩამორთმევისა და დაბრუნების საქმეში“, – აღნიშნა სამხრეთ კორეის ინტერპოლის ცენტრალური ბიუროს დირექტორმა ჯუნ ჰიუნ ლიმ.

ინტერპოლის მტკიცებით, 2024 წლის ოპერაციის ფარგლებში გახსნილი ონლაინ-თაღლითობის საქმეების რაოდენობა, 2023 წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა და 8000-ს გადააჭარბა...

სულთათანა

ნინო ნიბლაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი დამწუხრებულია 2024 წლის 27 ნოემბერს ინსტიტუტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი საფრთხეების განყოფილების მეცნიერი თანამშრომლის

ნინო ნიბლაძის

უეცარი გარდაცვალების გამო.

კიდევ ერთი კეთილშობილი, გამორჩეულად გულთბილი, დაუზარელი და კაცთმოყვარე, განურჩევლად ყველას მიმართ ერთნაირად ყურადღებიანი, გასაჭირში გვერდში მდგომი ქალბატონი გამოგვაკლდა. თავმდაბლობით, საქმისადმი ერთგულებით, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, შრომისმოყვარეობით გამორჩეულს დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული მის მშობლიურ კოლექტივში.

ნინო ნიბლაძე 1979-1985 წლებში სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრომელიორაციის ფაკულტეტზე სპეციალობით – აგრომელიორაცია, ხოლო ჯერ კიდევ 1978 წლიდან დაიწყო მუშაობა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ამჟამინდელი სტუ-ს ც. მირცხულავას წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი) – ჯერ ლაბორანტად და შემდეგ მეცნიერ-თანამშრომლად და გარდაცვალებამდე – 46 წელი აქტიურად, სიყვარულით, დაუზარელად მოღვაწეობდა. მონაწილეობდა როგორც საბიუჯეტო, ასევე რესპუბლიკურ და საერთაშორისო საგრანტო პროექტებში. იყო 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ნ. ნიბლაძე შეუცვლელი თანამშრომელი იყო. უყვარდა ყველას, ვინც იცნობდა. ყველა დამწუხრებული და გაოგნებულია მისი მოულოდნელი გარდაცვალებით. ნინოს ამ ქვეყნიდან წასვლამ უსაზღვრო სინანული დაუტოვა მის ოჯახს, მშობლიურ ინსტიტუტს, მეგობრებს. მშვიდად განისვენე, ჩვენო ერთგულო და თბილო ადამიანო, ჩვენ კი ყოველთვის გვემახსოვრები.

სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

არდადვიწყება

საქართველოს კულტურის ფონდი და მისი პრეზიდიუმი მწუხარებას გამოთქვამს ფონდის მთავარი ბუღალტრის მერი იასეშვილის ძმისწულის

ია იასეშვილის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ქალბატონ მერის, ოჯახს და სანათესაოს.

კულტურის ფონდის თავმჯდომარე
თამაზ შილაკაძე

7 ადამიანს ჯგუფურად, დანით, მძიმე ხარისხის დაზიანებები მიაყენეს!

საქართველოს პროკურატურამ ჯგუფურად ჩადენილი შვიდი პირის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ფაქტზე ორ პირს ბრალდება წარუდგინა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 24 ნოემბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ მუშევანში ბრალდებულებმა შვიდ დაზარალებულს ჯგუფურად, დანით, ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანებები მიაყენეს“, – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები 25 ნოემბერს დააკავეს. ერთ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით, ხოლო მეორეს 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „მ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჩადენილი ჯგუფურად) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 13 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, სასამართლოს უკვე მიმართა.

„იშხნელები — 100“

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და თბილისის მერიის მხარდაჭერით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, დები იშხნელების შემოქმედების 100 წლისადმი მიძღვნილი საღამო – სახელწოდებით „და ის ვინც გაქებდა“ – გაიმართა.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ღონისძიებას კულტურისა და სპორტის მინისტრი თინათინ რუხაძე და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

საიუბილეო საღამოზე წარმოადგინეს ქალაქური ფოლკლორის პოპულარული ნიმუშები დები იშხნელების რეპერტუარიდან. სცენაზე წარდგნენ დები იშხნელების შთამომავალი მანანა მენაბდე საავტორო მუსიკით და გორის ქალთა კამერული გუნდი თეონა ცირამუას ხელმძღვანელობით.

ასევე, მოწვეული სტუმრის სტატუსით ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: მუსიკოსმა დავით თავაძემ და ფოლკლორისტმა ეთერ თათარაიძემ. საღამოს წამყვანი გახლდათ თეატრმცოდნე ნიკა წულუკიძე.

დათო მაღრაძეს Palazzo Colonna მასპინძლობს

რომში 8 დეკემბერს Palazzo Colonna-ში ტრადიციულ Art-ფესტივალზე – „ჯადოსნური საშობაო სივრცის“ კონტექსტში გამომცემლობა „ჯულიანო ლადოლფი“ დამსწრე საზოგადოებას დათო მაღრაძის შემოქმედებას წარუდგენს.

შუადღე მთლიანად დაეთმობა დათო მაღრაძის პოეზიას.

„დათო მაღრაძე და მსახიობი ჯულიო გრეკო გამართავენ პოეტურ პერფორმანსს, სადაც ლექსები გაჟღერდება როგორც ქართულ, ასევე სხვადასხვა ენაზე.

ღონისძიება 16:00 საათზე დაიწყება. **Palazzo Colonna,** თორმეტი აპოსტოლის მოედანი 67,00187. რომი“.

მოლიერის მიზანტროპის მარიონეტები

შესანიშნავმა ქართველმა ხელოვანმა, თოჯინების ოსტატმა ბაჩანა ხალვაშმა ხელოვნების სასახლეს საჩუქრად საკუთარი შემოქმედების ორი ნიმუში გადასცა... ორი ძვირფასი მარიონეტი სპექტაკლიდან მოლიერის მიზანტროპი... თოჯინები – ავტორის მიერ დიდი რუდუნებითა და ვირტუოზულობითაა დამზადებული. ისინი არაერთი საერთაშორისო გამოფენის მონაწილეები და გამარჯვებულები ყოფილან... ხელოვნების სასახლე დიდ მადლობას უხდის ბატონ ბაჩანა ხალვაშს ამ ძვირფასი შემოწირულობისათვის.

მესხეთის თეატრის გასტროლი თბილისში

მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი 3 და 4 დეკემბერს თბილისში სპექტაკლებს გამართავს – დასის მასპინძელი თუმანიშვილის თეატრია.

მსახიობები მაყურებლის წინაშე 2 სპექტაკლით წარდგებიან. 3 დეკემბერს ჩანიშნულია სპექტაკლი: ვაჟა-ფშაველას **„სტუმარ მასპინძელი“**, 4 დეკემბერს კი **„კუნძული“**.

წარმოდგენები 20:00 საათზე დაიწყება.

ზურა ბერიკაშვილის პრემია — ვანიკო თარხნიშვილს

მსახიობმა ვანიკო თარხნიშვილმა გამორჩეული ჯილდო მისთვის სრულიად მოულოდნელად მიიღო. სახასიათო როლის საუკეთესო შესრულებისათვის სოხუმის თეატრში ზურა გეწაძის მიერ დადგმულ სპექტაკლში „მარტორქები“ ზურაბ ბერიკაშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

ჯილდო ვანიკოს რუსთავის თეატრში გამართულ კომედიის მე-10 თეატრალურ ფესტივალზე მანანა ბერიკაშვილმა გადასცა.

რელიგიის სააგენტოს ქველმოქმედება

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტეს“ ჰუმანიტარული ტვირთი გადასცა.

საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, ზაჰესის არასრულწლოვანთა N11 პენიტენციურ დაწესებულებას რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სტრატეგიული კვლევის, ანალიზისა და რეგიონების სამსახურის უფროსი ნინო ჭავჭავაძე, საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანების აღმასრულებელი დირექტორი ტარიელ პაპინაშვილი და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდადებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის წარმომადგენელი ია იმერლიშვილი ეწვივნენ.

„დაწესებულებაში სასჯელს 40 არასრულწლოვანი ვაჟი იხდის, რომელთაც 40 ცალი ტკბილეულის სასაჩუქრე ყუთი გადასცეს. მობარდებსა და ქალთა N5 დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს ასევე, 20 ფუთა ტანსაცმელი გადაეცემათ“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული მამაკაცი გარდაიცვალა

დიდ ბრიტანეთში მსოფლიოს ყველაზე ხანდაზმული ადამიანი 112 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჯონ ალფრედ თინისვუდი ყველაზე ხანდაზმულ ადამიანად ამავე წლის აპრილში გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნმა დაასახელა, როდესაც 114 წლის ასაკში ჰუან ვისენტე პერეს მორა გარდაიცვალა.

2012 წლიდან, როდესაც მას 100 წელი შეუსრულდა, ის იღებდა მისალოცგარათ-ებს მონარქებისგან – თავიდან ელისაბედ მეორისგან, რომელიც მასზე 14 წლით უმცროსი იყო და შემდეგ კარლ III-გან.

თინისვუდი ქალაქ საუთპორტში, მოხუცებულთა სახლში გარდაიცვალა.

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.7422; ევრო - 2.8856;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4582;
100 რუბლი - 2.5051; თურქული ლირა - 0.0791;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6127;
1000 სომხური დრამი - 7.0043.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ფ. 90904: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი **სპარტაკ ქობულია** (599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე **მამუკა ვაშაკიძე** (597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი: **ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი **რუსუდან ქობულია** (577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები: **ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი **შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი **გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი **გიორგი ნადარეიშვილი**

მისამართი: თბილისი. აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედიასაშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა „ კოლორში“ ე. ბაღდავაძის №3

** კოლორ ჯგუფი**

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ: 577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 2 დეკემბერს